ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 2011 №195 (5576) ფასი: 30 თეთრი

# სააკაშვილი რკინიგზის შეფის დაკავებას გეგმავს

რა ხდება საქართველოს რკინიგზაში გვ.2

# რუსთაველის თეატრიდან მოხსნილ რობერტ სტურუას ლონდონის სამეფო თეატრი ეპატიჟება



რობერტ სტურუა:

„მე რასისტი არ ვარ!“

## ნიკოლოზ რურუა:

„სტურუა ეთნიკური მეტაფორების გამო მოვხსენი“



გვ.3

## გია ცაგარეიშვილი: „ექსიანის“ კონკურენტი მხოლოდ ხელისუფლება იქნება“

გვ.7



## ახალი „მარშრუტკები“ უკვე გაფუჭდა



სექტემბრიდან მგზავრობა ისევ გა ვირდება

გვ.6



## ნესტან კირთაძე: „უქმეებზე გაძვირებული ტრანსპორტით ნუ იმგზავრებთ!“



## ზაზა ფირალიშვილი: „რობერტ სტურუასთან ასეთი თამაში ხელისუფლებისთვის წამგებიანია“

გვ.2

გვ.8



## ეკა ბესელია: „150 პატიმარი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა“



## ნონა გაფრინდაშვილი: „ერთხელაც იქნება და მთელი საქართველო იფეთქებს“

გვ.4

გვ.8



## კახა კუკავა: „გარდაცვლილ მამუკა ზერეკიძეს თავზე ტრავმა აღენიშნება“

„პატიმრებს ციხეში „მიშა მაგარიას“ ამღერებენ“


## 3090 SMS განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.


ISSN 1987-9385

5 კოკოითი ცხინვალში კაზაკების ჩამოსახლებას აპირებს

4 დევნილებს სასტუმრო „კოლხეთიდანაც“ გამოასახლებენ

8 ნინო ბურჯანაძის ერთ-ერთ მძღოლს 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

5 საბურთალოს ნაწილს დღეს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სააკაშვილი რკინიგზის შეფის დაკავებას გეგმავს

## რა ხდება საქართველოს რკინიგზაში

ქეთი ხომერიკი

**თავისუფალი საქართველოს პოლიტსაბჭოს წევრის, გია ყრუაშვილის განცხადებით, შპს საქართველოს რკინიგზაში კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.**



— საქართველოში უცხო არავისთვისაა ის ფაქტი, რომ შპს „საქართველოს რკინიგზაში" შექმნილია საგანგაშო მდგომარეობა, ამის შესახებ პოლიტიკური პარტია თავისუფალი საქართველოს მიერ გავრცელდა მრავალი მამხილებელი დოკუმენტი, სადაც ფაქტებზე დაყრდნობით ვაცხადებდით, რომ რკინიგზაში მოქმედებს კორუფციულ ინტერესთა ჯგუფები, რომელთა მიზანს წარმოადგენს არა რკინიგზის განვითარება, არამედ ცალკეულ პიროვნებათა ფინანსური აქტივების ზრდა, რის ხარჯზეც (პრეზიდენტის საყვარელი ფრაზით) საქართველოს რკინიგზა ჩამოიშალა, — აცხადებს ყრუაშვილი. ყრუაშვილისვე თქმით, კორუფციულმა ჯგუფებმა ყოველგვარ საზღვარს გადააბიჯეს, წილებს ინაწილებენ თითოეული კგ-მი ტვირთიდან და თითოეული ლიტრი საწვავიდან, გაჩაღებულია შიდა ბრძოლები კონტროლის საბოლოო აღებაზე.

— პარასკევს, 12 აგვისტოს ღამეს ბათუმის რკინიგზის სადგურში პოლიციის სპეცნაწილების თანამშრომლებმა განახორციელეს მასობრივი დაპატიმრებები, დაკავებულია ქ.ბათუმის რკ/სადგურის უფროსი, ხუხუნეიშვილი, მისი მოადგილეები, თბომავლის მემანქანეები, მორიგეები და შემადგენლობის თანამშრომლები, სულ 40 თანამშრომელი, რომელთაგან 13 დაკავებული გაათავისუფლეს მოგვიანებით. 27 თანამშრომელს შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა ორი თვის ვადით, რომელთა უმეტესობა სასტიკად არიან ნაცემები სასურველი ჩვენების მიღების მიზნით. დაკავების ოფიციალურ მიზეზად სახელდება რკინიგზაზე მიმდინარე საწვავის ქურდობის ფაქტები, რაც ემსახურება, ერთის მხრივ, საზოგადოებაში იმიჯის შექმნას, რომ თითქოს დანაშაულს ებრძვიან და მეორეს მხრივ, კონკრეტული კორუფციული ჯგუფი იცილებს მეორე კორუფციულ ჯგუფს სრული მონოპოლიზების მიზნით, — განმარტავს ყრუაშვილი.

მისივე მტკიცებით, ამ ჯგუფებში კი სხვადასხვა მიმართულებით უწევთ „მოღვაწეობა" როგორც რკინიგზის შეფს ირაკლი ეზუგბაიას, ისე მის მოადგილეს, რკინიგზის კომერციულ დირექტორს ჯინჯოლიას და კონკრეტული სამსახურის „მარადმწვანე" უფროსს, ბაბუნაშვილს.

— საზოგადოებისთვის ეს ყველაფერი ნათელია და ვფიქრობ, არაა საჭირო სპეციალური ცოდნის არსებობა იმისთვის, რომ დასკვნა გამოიტანო, თუ რა ხდება შპს საქართველოს რკინიგზაში. ძნელად თუკი ვინმე დაიჯერებს იმას, რომ საწვავის თუ სხვა ტვირთების დატაცება ხდებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მოქმედებდა რამდენიმე ათეული ადამიანი, იღებდა მონაწილეობას სადგურის ხელმძღვანელობა და ეს არ იცოდა ან კომერციულმა დირექტორმა ჯინჯოლიამ ან სამსახურის უფროსმა ბაბუნაშვილმა, ან კიდევ გნებავთ ეზუგბაიამ, — აცხადებს ყრუაშვილი.

— აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე შემიძლია მხოლოდ ერთი დავამატო, დაწყებულია თრილერი სახელწოდებით „წილები რკინიგზაში", რომლის მომდევნო სერია კიდევ უფრო საინტერესო იქნება, რადგან გაირკვევა, ვისი წილი ვის ჯიბეში აღმოჩნდება, — დასძინა ყრუაშვილმა

„ახალ თაობასთან" საუბრისას თავისუფალი საქართველოს წარმომადგენლის აზრით, შპს საქართველოს რკინიგზას ყიდულობს რუსეთი, რომლის შეკვეთებსაც ასრულებს საქართველოში კახა ბენდუქიძე. კახა ბენდუქიძეს მფარველობს რუსეთი.

— საქართველო დაკარგავს ერთ-ერთ უძლიერეს სტრატეგიულ ობიექტს საქართველოს რკინიგზას, რომელსაც დაახლოებით 300 მილიონის მოტანა შეუძლია სწორი მენეჯმენტის პირობებში ქვეყნისათვის. და კიდევ ერთი, დარწმუნებული ვარ, რკინიგზელების მერე სააკაშვილი ირაკლი ეზუგბაიასაც დააკავებს, ეს აუცილებლად მოხდება. როცა აღარ დასჭირდება, ციხეში ამოაყოფინებს თავს და ეს დღე მალე დადგება, — აცხადებს ყრუაშვილი.

# ზაზა ფირალიშვილი: „რობერტ სტურუასთან ასეთი თამაში ხელისუფლებისთვის წამგებიანია"

**ცნობილი რეჟისორის რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებას საზოგადოების ნაწილის პროტესტი მოჰყვა. სტურუას მხარდამჭერებმა ხელისუფლება ხელოვანის პოლიტიკური ნიშნით დევნაში დაადანაშაულეს.**

**ფოტოგრაფების საქმისა და რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებული ხმაურიანი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ სტურუას გათავისუფლება უკვე მორიგ სკანდალად იქცა. რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს მას და რას მოუტანს ეს ხელისუფლებას? — ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.**

*— ბატონო ზაზა, რით ახსნით რობერტ სტურუას გათავისუფლებას და როგორ აფასებთ ამ ფაქტს?*

— იგი გაათავისუფლეს მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო. როგორი ცუდი და მძიმე პოლიტიკური შეხედულებაც არ უნდა ჰქონოდა, ის როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი, არ შეიძლებოდა თანამდებობიდან გათავისუფლებულიყო. გარდა ამისა, ნებისმიერ საზოგადოებას აქვს საკრალური ელემენტები, თავისი სიმბოლური პიროვნებები. რობერტ სტურუა, გვინდა, არ გვინდა, ქართული კულტურის სიმბოლოს წარმოადგენს. მასთან ასეთი თამაში თვითონ ხელისუფლებისთვის არის წამგებიანი. ამით ხელისუფლება ადასტურებს, რომ გაუცხოებულია საკუთარ საზოგადოებასთან.

*— რატომ მიიღო ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება და გათვალა თუ არა, რა რეაქცია მოჰყვებოდა სტურუას გათავისუფლებას?*

— მგონია, რომ ხელისუფლებას მიაჩნია — მას ყველაფერი ძალუძს და რომ საზოგადოება წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ამიტომ აკეთებს იმას, რაც მოესურვება და საზოგადოების აზრი ნაკლებად აინტერესებს.

*— დღეს საზოგადოებაში არსებული განწყობის მთლიანი სურათი როგორია? თუნდაც ბოლო ორ თვეში ბევრი გახმაურებული მოვლენა მოხდა: რელიგიური კონფესიების სტატუსის საკითხი, ფოტოგრაფების საქმე, გაზრდილი გადასახადები, და ა.შ. ახლა სტურუას გათავისუფლება. ამ ყველაფერმა იქონია თუ არა გავლენა საზოგდოებაზე?*

— დღეს პრინციპში ის მოცემულობა გვაქს, რა მოცემულობაც გვქონდა 2000-იანი წლების დასაწყისში შევარდნაძის მმართველობის დროს. ჩვენი დანაშაულია, რომ მაშინ უყურადღებოდ მოვექეცით იმ ადამიანების განცხადებებს, რომლებიც ახლა ამ ხელისუფლების იდეოლოგიურ გარემოცვაში მოიაზრებიან. მათ ქართული კულტურა ლამის ცუდ სიტყვად შერაცხეს. მაშინ სააკაშვილის გარემოცვაში მყოფი ხალხი მედიის საშუალებით საჯაროდ აცხადება, რომ ქართულ კულტურას არც უარსებია, არც არსებობს და არც არასდროს იარსებებს. ეს არის ვიღაცეების მოგონილი რამ. რა თქმა უნდა, ამ ადამიანებს, როგორც კი ძალაუფლება მიეცათ, თავისი იდეოლოგიის გატარება დაიწყეს. მათთვის სტურუა და ქართული თეატრი ღირებულებას არ წარმოადგენს.

ბოლშევიკებს ჰქონდათ ასეთი პრინციპი: მოსახლეობის საერთო კულტურის თანამიმდევრული და მეთოდური დაქვეითება, რათა უფრო იოლი სამართავი ყოფილიყო. დღეს

რაღაც მსგავს ვხედავთ. ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების დროში, ქართული კულტურის დეკონსტრუცია და უგულებელყოფა ხდება. მარტო უგულებელყოფა რომ იყოს, კიდევ რა უშავს.

ქართული სულიერების რეაბილიტაციაზე კი არ საუბრობენ და თანამედროვეობაში ინტეგრაციაზე, არამედ იმაზე, რომ ეს სულიერება არ წარმოადგენს არავითარ ღირებულებას და ჩვენ უნდა ვიქცეთ რაღაც უცნაურ ჰოლანდიურ სოფლად.



*— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ საზოგადოებაზე ზეწოლასაც და დაშინებასაც თავისი ზღვარი აქვს და თუ ეს ზღვარი დაირღვევა, ხელისუფლებას ყველაფერი ცუდად შემოუბრუნდება. დღეს ხელისუფლება, ამ ზღვარს რამდენად არის მიახლოებული?*

— მთლიანობაში, მსგავსი მოვლენების შედეგად საზოგადოებაში კრიტიკული მასა იზრდება. ხელისუფლება უკვე ისეთ ნაბიჯებსაც დგამს, რაც ისეთ ადამიანებსაც აღიზიანებთ, რომლებსაც პოლიტიკა, ხელოვნება და სხვა მსგავსი საკითხები არ აინტერესებთ. აი, მაგალითად რაიონებში მთელი რიგი ბენზინგასამართი სადგურები გააუქმეს და მოსახლეობა იძულებულია შორს იაროს საწვავის ჩასასხმელად. ეს რას ნიშნავს? — ნიშნავს იმას, რომ ისეთი ადამიანიც კი გრძნობს ხელისუფლების არამართლზომიერ ქმედებებს, რომლისთვისაც სტურუაც არ წარმოადგესნ სიმბოლურ პიროვნებას. ამას ემატება გადასახადების გაზრდა, ფასების მატება, ისეთ აკრძალვების დაწესებამ რაც ხალხს ცხოვრებას ურთულებს, ხელისუფლებას მიიჩნია, რომ ყოვლისშემძლეა. ასეთ ბონაპარტიზმს, ამისთანა მცირე ქვეყანაში, მითუმეტეს, როდესაც ამ ბონაპარტიზმს წინ არ უძღვის დიდი ისტორიული გამარჯვებები, არაფერი კარგი არ მოჰყვება. შეიძლება ეს ყველაფერი რაღაც კარიკატურულ, გროტესკულ ისტორიაში გადაიზარდოს.

მედიანიუსი

## ბაქრაძემ ქუთაისში პარლამენტის მშენებლობა მოინახულა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გუშინ ქუთაისში პარლამენტის მშენებლობა მოინახულა.

ახალი შენობის მთავარი კონსტრუქცია უკვე მზად არის. რამდენიმე დღეში შენობაში კომუნიკაციების გაყვანა და მინის გადახურვის სამუშაოები დაიწყება.

ტერიტორიაზე მთავრობის სახლის და აპარატის თანამშრომლების სამუშაო კორპუსის მშენებლობაც მიმდინარეობს.

დავით ბაქრაძემ პოლიტიკური ცენტრის ქუთაისში გადმოტანის მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ქალაქში ეკონომიკის განვითარებას და ახალი ინვესტიციების მოზიდვას გამოიწვევს.

პარლამენტის პირველი სხდომა ახალ შენობაში 2012 წლის ბოლოსთვის ჩატარდება.

პირველი

## ბარაკ ობამა: „მსოფლიო „ბინ ლადენებზე" მეტად „ანდერს ბრეივიკებს" უნდა უფრთხოდეს"



აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეფასებით, დღეს შეერთებულ შტატები და მთლიანად მსოფლიო „ბინ ლადენებზე" მეტად „ანდერს ბრეივიკებს" უნდა უფრთხოდეს. ამის შესახებ ობამამ „სი-ენ-ენი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

— დღეს ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენს ანდერს ბრეივიკის ტიპის დამნაშავეები, ანუ ტერორისტები, რომლებიც მარტო, დამოუკიდებლად მოქმედებენ, — განაცხადა ობამამ და დასძინა, რომ ოსამა ბინ ლადენის ტიპის ტერორისტები, რომლებიც ფართომასშტაბიან შეტევებს გეგმავენ, ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ.

შეგახსენებთ, რომ ანდერს ბრეივიკმა ნორვეგიაში 70-ზე მეტი ადამიანი მოკლა.

მედიანიუსი

## საფრანგეთი და გერმანია ევროზონის მთავრობის შექმნის ინიციატივით გამოდიან

საფრანგეთი და გერმანია ევროზონის მთავრობის შექმნის ინიციატივით გამოდიან და მთავრობის მეთაურად ევროსაბჭოს ხელმძღვანელის ჰერმან ვან რომპეის კანდიდატურას ასახელებენ. ამის შესახებ „ფრანსპრესი" იუწყება.

ანგელა მერკელი და ნიკოლა სარკოზი, რომლებმაც დღეს საგანგებო შეხვედრა გამართეს, აღნიშნულთან დაკავშირებით რომპეის წერილობით ხვალ დილით აცნობებენ.

ორივე ლიდერის განცხადებით, აღნიშნული მთავრობა ორნახევარი წლის ვადით დაინიშნება, რომელიც წელიწადში ორჯერ გამართავს სამიტს, რომელში მონაწილეობასაც ევროზონის ქვეყნების მეთაურები და მთავრობის თავმჯდომარეები მიიღებენ მონაწილეობას.

გარდა ამისა, საფრანგეთი და გერმანია სექტემბერში ევროკავშირს ფინანსურ ოპერაციებზე საერთო გადასახადების დაწესებას მოითხოვენ, - განაცხადეს გერმანიისა და საფრანგეთის პირველმა პირებმა.

მერკელის თქმით, ასეთი გადასახადის დაწესების აუცილებლობა ცხადია. მისივე თქმით, ევროკომისიას გაცილებით დიდი შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს მოვალე ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში ჩარევისთვის.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რუსთაველის თეატრიდან მოხსნილ რობერტ სტურუას ლონდონის სამეფო თეატრი ეპატიჟება

## ნიკოლოზ რურუა: „სტურუა ეთნიკური მეტაფორების გამო მოვხსენი“

**დღეს, 18 აგვისტოს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის რობერტ სტურუას მხარდამჭერი აქცია გაიმართება.**

**ინფორმაციას რობერტ სტურუას მხარდამჭერ აქციასთან დაკავშირებით სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ ავრცელებს, სადაც უკვე შეიქმნა რეჟისორის მხარდამჭერთა კლუბი. აქციის ორგანიზებაც რობერტ სტურუას მხარდამჭერების მიერ სწორედ „ფეისბუქის“ მეშვეობით მიმდინარეობს. „ფეისბუქზე“ შექმნილია კედელი „დაუბრუნეთ თეატრს რობერტ სტურუა“. ამ წამოწყებას მხარს უკვე „ფეისბუქის“ 900-მდე მომხმარებელი უჭერს.**

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტს სოციალურ ქსელებში თავად რობერტ სტურუაც გამოეხმაურა. როგორც მან თავის გვერდზე დაწერა: „მოკლედ, გამათავისუფლეს, თავისუფალი ვარ, სვაბოდაზე! ზი ფრიდომ! (თავისუფლება) ეს ქართველი ამერიკელებისთვის. ერთადერთი, რაც ტვინს მიღრღნის: როგორ გადავზიდო ამდენი წიგნი სახლში?! — ასეთ განმარტებას ავრცელებს რეჟისორი „ფეისბუქზე“.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ 9 აგვისტოს გასცა ბრძანებულება, რომლის თანახმად, რობერტ სტურუა 15 აგვისტოდან გათავისუფლებულ იქნა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან.

როგორც რობერტ სტურუას მიერ სოციალური ქსელებით გავრცელებული ბრძანების ასლშია აღნიშნული, გათავისუფლება მოხდა „სახელმწიფო თეატრების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის, მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. ეს მონაცემები კანონში ასეა ფორმულირებული — „სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტრო, ხოლო სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი — სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით“.

— გათავისუფლდეს რობერტ სტურუა საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან 2011 წლის 15 აგვისტოდან. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან, —ასეთია კულტურისა და ძეგლთა დაცის მინისტრის ბრძანება №1/64, რომელსაც მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ხელი 2011 წლის 9 აგვისტოს მოაწერა.

ამ ბრძანების დეტალებზე განმარტება გუშინ, 16 აგვისტოს, თავად კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გააკეთა. მისი თქმით, რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან ეთნიკური მეტაფორების გამო გათავისუფლდა. ასეთი კომენტარი კულტურის მინისტრმა ბათუმში „ბათუმი-შერატონში“ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

— რობერტ სტურუას გათავისუფლება ჩემთვის ძალიან პრინციპული საკითხია. სახელმწიფო, რომელიც მოცემულობით არის მულტიეთნიკური და მულტიკულტურული, ვერ შეეგუება და ვერ დააფინანსებს ქსენოფობიას. ქსენოფობიაში იგულისხმება ის გამონათქვამები, ეთნიკური მეტაფორები, რომელსაც სტურუა იყენებდა მრავალრიცხოვანი ინტერვიუების დროს, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რობერტ სტურუას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, თუმცა ეს ჩემთვის ნამდვილად არ იყო სასიამოვნო გადაწყვეტილება. მიმაჩნია, რომ ტირაჟირებულ ქსენოფობიას მწვანე შუქი არ უნდა აენთოს დემოკრატიულ ქვეყანაში, მით უმეტეს, რომ ეს საქართველოს თავის თავზე ერთხელ უკვე ნაგემი აქვს. ერების დაყოფა კარგ და ცუდ ერებად, ადამიანების დაყოფა კლასებად — ეს იყო, რასაც აკეთებდნენ თავის დროზე ბოლშევიკები და ეს იცის ბატონმა სტურუამ, ის იცნობდა ბოლშევიკებს, ამას აკეთებდნენ თავის დროზე ნაცისტები. მიმაჩნია, რომ ჩვენი დაუძინებელი მტერი ამით აუცილებლად ისარგებლებს, ამის საშუალება თუ ექნება. ბევრი ფიქრის შემდეგ, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ადამიანს, რომელსაც ასეთი ღირებულებათა სისტემა აქვს, არ ეკავოს საკვანძო სახელმძღვანელო პოზიცია, ეს არის და ეს. ზოგადად, სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი არ უქმდება და ეს პოსტი არც რუსთაველის თეატრში გაუქმდება. ამ დროისთვის რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა ვაკანტურია, — განაცხადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა.

რობერტ სტურუას თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, თანადებობა რუსთაველის თეატრის მმართველს ზაალ ჩიქობავასაც დაეტოვებინა, თუმცა, ნიკოლოზ რურუას განცხადებით, ზაალ ჩიქობავას გაშვებას არავინ აპირებს და ის თანამდებობაზე აუცილებლად დარჩება.

კულტურის მინისტრმა ყველა არსებული ვერსია უარყო და განმარტა, რომ ამ ეტაპზე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ახალი კანდიდატურა არ არსებობს.

◆



ნიკოლოზ რურუა

კულტურის მინისტრის მტკიცების მიუხედავად, რომ რობერტ სტურუას შემცვლელზე საუბარი ჯერ ნაადრევია და სავარაუდო კანდიდატურადაც კი არავინ განიხილება, საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელად გურამ საღარაძის ქალიშვილი, მსახიობი მარინა საღარაძე ინიშნება. თავად მსახიობმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ რუსთაველის თეატრში ახალი თეატრალური სეზონიდან ნამდვილად ინიშნება თანამდებობაზე, მაგრამ ეს არ არის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი. მარინა საღარაძე შემოდგომიდან თეატრის მმართველის ზაალ ჩიქობავას მოადგილედ დაიწყებს მუშაობას მხატვრულ დარგში.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ოფიციალურ კომენტარამდე რუსთაველის თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა აცხადებდა, რომ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის გაუქმებასთან დაკავშირებით არანაირი ბრძანება არ არსებობდა. მარინა საღარაძესთან დაკავშირებით კი ზაალ ჩიქობავამ განმარტა, რომ 1 აგვისტოს მარინა საღარაძე ნამდვილად დაინიშნა საზოგადოებასთან და საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელად.

◆

რუსთაველის თეატრის მსახიობებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა რობერტ სტურუას თანამდებობიდან გათავისუფლება, თუმცა ის წინაპირობები, რაც მაესტროს მოხსნამდე ხდებოდა, უკვე აშკარას ხდიდა იმას, რომ რობერტ სტურუა ამ თანამდებობაზე დიდხანს არ დარჩებოდა.

რუსთაველის თეატრის მსახიობ თათული დოლიძის განცხადებით, რობერტ სტურუა არ არის რიგითი, ჩვეულებრივი პიროვნება, ის



თათული დოლიძე

ნამდვილი მოვლენაა თეატრალურ სამყაროში. მსახიობი არ მალავს, რომ ამ სიახლით გაოგნებულია. მისი თქმით, რეჟისორის მიმართ ასეთი დამოკიდებულება უბრალოდ მიუღებელია არამარტო თეატრის სფეროს წარმომადგენელებისთვის, არამედ — საზოგადოების დიდი ნაწილისთვის.

— ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა თანამდებობა უკავია მას თეატრში, მთავარია, სტურუა იყოს რეჟისორი და დადგას სპექტაკლები, ხოლო თუ ამის საშუალება არ მიეცემა, უმისობა სერიოზულად დააკლდება ქართველ ხალხს და საქართველოს. როგორც რობერტ სუტურუა წერილში წერს, ის არსად წასვლას არ აპირებს და სპექტაკლების დადგმას გეგმავს, მიუხედავად იმისა, რომ მას სიხარულით მიიღებენ ყველა ქვეყანაში, სადაც არ უნდა წავიდეს. საქართველოში ვერ მოღვაწეობს რეჟისორი თემურ ჩხეიძეც და, ამის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რეჟისურაში ძალიან დიდი წყვეტა მოხდეს, რის აღდგენასაც ხანგრძლივი დრო და ძალისხმევა დასჭირდება, — აცხადებს მსახიობი.

რუსთაველის თეატრის მსახიობ ბესო ზანგურისთვის რობერტ სტურუას მოხსნა ნამდვილი შოკი აღმოჩნდა. როგორც მსახიობი აცხადებს, ის მზად არის, რუსთაველის თეატრი დატოვოს.

— ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მივიღე, რაც რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა თანამდებობიდან გაანთავისუფლეს. თუ საქმეს ჩემი პროტესტი დასჭირდა, მე წავალ თეატრიდან. სტურუას მოხსნით მას ვერაფერს დააკლებენ, იგი დაგვაკლდა ჩვენ, მსახიობებს, და დააკლდა საქართველოს. ეს უკვე მეტისმეტია, ასეთი ანგარიშსწორება გაუგონარია. რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრშია და კარგ ხასიათზეა. ეს ყველაფერი მას სასაცილოდ არ ჰყოფნის. იმისთვის, რომ იყოს გენიალური რეჟისორი, არ სჭირდება რამე თანამდებობა, — განაცხადა მსახიობმა.

რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ რობერტ სტურუას თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მოკლე განმარტება გააკეთა. რეჟისორი დარწმუნებულია, რომ თა-



### გიგა ლორთქიფანიძე: „რობერტ სტურუას ადგილი არც ერთმა პატიოსანმა ადამიანმა არ უნდა დაიკავოს“

ნამდებობა მაესტროს მისი პოლიტიკური განცხადებების და განსხვავებული შეხედულებების გამო დაატოვებინეს.

— რობიკო სტურუას ეგენი ვერაფერს დააკლებენ, რუსთაველის თეატრს კი მისი გაშვებით ბევრი რამ დააკლეს. მე თუ მკითხავთ, ვერცერთმა პატიოსანმა კაცმა სტურუას ადგილის დაკავება ვერ უნდა იკადროს. მეგონა, ახლა სხვა დრო იყო და სტურუა ერთადერთი დიდი რეჟისორი იქნებოდა, რომელიც თავის თეატრში დაასრულებდა ცხოვრებას, მაგრამ შევცდი. სანდრო ახმეტელი დახვრიტეს, კოტე მარჯანიშვილი გააგდეს, მიხეილ თუმანიშვილი გააგდეს, ახლა უკვე რობიკო სტურუაც გააგდეს. როგორც ჩანს, დრო არ შეცვლილა. სტურუა მსოფლიო დონის უბრწყინვალესი რეჟისორია, რა მნიშვნელობა აქვს, მან რა თქვა? ამის გამო მისნაირი კაცის გაშვება შეიძლებოდა? — აცხადებს რეჟისორი.

◆

ნიკოლოზ რურუას ამ გადაწყვეტილებას, თეატრალების გარდა, გამოეხმაურნენ ქართული პოლიტიკური პარტიებიც.

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ მტკიცებით, რობერტ სტურუას ხელოვნება დრომ უკვე შეაფასა და ამ მოვლენასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებაც გაავრცელეს. „სტურუა იმ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს, რომლის წარმატებები და საყოველთაო აღიარება სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული. ცხადია, ხელშეუხე-




ბელი და უცვლელი არავინ არის, თვით უდიდესი ხელოვანებიც კი, მაგრამ რობერტ სტურუას მიმართ ხელისუფლების ეს ნაბიჯი აშკარა ანგარიშსწორების სახეს ატარებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

„ქართული პარტიაც“ რობერტ სტურუას გათავისუფლებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს. როგორც პარტიის განცხადებაშია ნათქვამი: „სააკაშვილის ხელისუფლება ვერ იტანს თავისუფალ აზრს, ობიექტურ კრიტიკას და, მის ჩასახშობად, მიზანმიმართულად ავიწროვებს იმ ადამიანებს, ვინც სიმართლის ხმამაღლა თქმას ბედავს. სწორედ გაბედული მოქალაქეობრივი პოზიცია გახდა რობერტ სტურუას გათავისუფლების მიზეზი“.

◆

რობერტ სტურუამ „ფეისბუქის“ საშუალებით თავისი თანამდებობიდან გათავისუფლება ძალიან მოკლე შეტყობინებით გაავრცელა — „მომხსნეს“. მეორე დღეს კი მის თაყვანისმცემლებს რობერტ სტურუას გვერდზე ახალი შეტყობინება დახვდათ: „არ გეგონოთ, რომ ასე ვარ, როგორც ამ სურათზე მხედავთ, ეს რეპეტიციაა... მე კი ვფიქრობ, მძინავს, ხილს ვჭამ (მგონი, ზედმეტიც მომივიდა), მოკლედ, გამათავისუფლეს!“

გუშინ, 17 აგვისტოს, რობერტ სტურუამ რადიო „თავისუფლებას“ ინტერვიუ მისცა.

იგი იმ ინტერვიუსაც შეეხო, რომელშიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე ამბობდა, რომ ის ეროვნებით სომეხია.

— ეს იყო ინტერვიუ. მე ვთქვი, რომ ჩვენ გვყავდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, რომელსაც დედა სომეხი ჰყავდა. მე ბიცოლა მყავს სომეხი და რა მერე? ჩვენს თეატრში მთავარი დირიჟორი სომეხია. და მე ვთქვი, რომ სააკაშვილის შემთხვევაში ამ საკითხს მალავენ. როცა, დავუშვათ, ობამას ირჩევენ ამერიკელები, მის შესახებ ყველაფერი იციან და ეს სრულიად ნორმალურია, რადგან იქ კანონები მოქმედებს, ჩვენთან კი — არა. ეს არის ამ ხელისუფლებასთან მთავარი პრეტენზია. ჩვენთან სამართალწარმოება საშინელ დონეზეა, ციხეები საშინელ მდგომარეობაშია, — აცხადებს რეჟისორი.

სტურუას განმარტებით, მას სურდა ეთქვა, რომ არსებობს სერიოზული პრობლემები და რომ შესაძლოა მომავალში ჰიტლერები კიდევ იყვნენ.

— ამას როგორმე სხვა მხრიდანაც უნდა შევხედოთ, რომ გავარკვიოთ, რატომ გაჰყვა ამ არამზადას ისეთი განათლებული ერი და რატომ მოხდა ასეთი რამ — რატომ მოხდა ჰოლოკოსტი. ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ ახლა თავის მართლება მიწევს. რაღაც რასისტად გამოვჩნდი, მე კი რასისტი არ ვარ. ჩემი მეგობარი პარიკმახერი მეუბნება, გინდა, გადაგარჩენთ? მე ვკითხე, როგორ უნდა გადამარჩინო-მეთქი. მან კი მიპასუხა, ვიტყვით, რომ ჩემზე ლაპარაკობდი, მეც ხომ მიშა მქვიაო, — განაცხადა სტურუამ.

რეჟისორის თქმით, მისი გადაწყვეტილება და ის, თუ როგორ მოიქცევა, მომავალ მოვლენებზე იქნება დამოკიდებული.

◆

როგორც რობერტ სტურუას მეგობრები აღნიშნავენ, შესაძლოა რეჟისორი ლონდონის სამეფო თეატრში წავიდეს. მათი ინფორმაციით, სტურუას უკვე დაუკავშირდნენ ლონდონის სამეფო თეატრიდან და რამდენიმე წინადადება შესთავაზეს. სტურუა შეთავაზებებზე ფიქრობს და შესაძლოა რომელიმე მათგანს დათანხმდეს კიდეც. რუსთაველის თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა კი აცხადებს, რომ სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გათავისუფლებული რობერტ სტურუა თეატრში მუშაობას გააგრძელებს.

# ნონა გაფრინდაშვილი: „ერთხელაც იქნება და მთელი საქართველო იფეთქებს“

ნონა ცაბა ე

**სახალხო კრების თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილი საქართველოში 16 აგვისტოს დაბრუნდა. ის ბადრი ბიწაძის სასამართლო პროცესზე მოწმედ დაკითხვას ითხოვდა, თუმცა მისი მოთხოვნა მოთხოვნად დარჩა. ქალბატონ ნონას „ახალი თაობა“ ესაუბრა.**

*— თქვენ სასამართლოს ბადრი ბიწაძის პროცესზე მოწმედ გამოძახება მოსთხოვეთ, რადგან სახალხო კრების თავმჯდომარე ბრძანდებით და აცხადებდით, რომ თქვენთვის ყველაფერი ცნობილი იყო, რაც ხდებოდა, თუმცა თქვენი მოწმედ გამოძახება არ მოხდა. რის თქმას აპირებდით პროცესზე?*

— სპეციალურად იმ დროს დანიშნეს პროცესი, როცა ხალხი გასულია ქალაქიდან. მე ღონისძიებაზე ვიყავი წასული, წუხელ ჩამოვედი და დღეს უკვე ამთავრებენ პროცესს. ამათ არავის მოსმენა არ უნდათ, წინასწარ გადაწყვეტილია უკვე ყველაფერი. ჩემი მოთხოვნა უბრალო მოთხოვნად დარჩა. მე მაინტერესებს საერთოდ, ბადრი ბიწაძე რა შუაშია, თუ ვინმესთან პრეტენზია უნდა ჰქონდეთ, უნდა ჰქონდეთ აღმასრულებელი საბჭოს წევრებისადმი. თანაც თავმჯდომარე ვიყავი მე. ჩვენ კონსტიტუცია არ დაგვირღვევია და კანონი. იმდენი აგენტი იყო ჩვენთან შემოგზავნილი, რამე დარღვევები რომ გვქონოდა, ასე გაიჭიმებოდა ეს ყველაფერი?! არ დადებდნენ საბუთებს? ჩვენ გვქონდა პროტესტის გამოხატვის უფლება, კონსტიტუციის მიერ მონიჭებული. ბადრი ბიწაძე იყო ჩვეულებრივი მონაწილე აქციის, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე და მეუღლე ნინო ბურჯანაძისა. რა შუაშია ბადრი ბიწაძე, ერთი გამაგებინეთ?! ყველა გადაწყვეტილებას ვიღებდით ჩვენ, აღმასრულებელი საბჭო. ეს მინდოდა მეთქვა მე იქ და სულ არ აინტერესებს სასამართლოს, მე რას ვიტყვი და რას იტყვიან აღმასრულებელი საბჭოს წევრები. ეს არის უბრალოდ მიზანმიმართული ბრძოლა ქალბატონი ნინოს წინააღმდეგ, რომ მისი მეუღლე, მისი შვილები იყვნენ დაშანტაჟებულები და როგორმე ჩამოაცილონ პოლიტიკურ საქმიანობას. თუმცა, ქალბატონ ნინოს ვერ გატეხენ. ის იქნება მათი სერიოზული ოპონენტი ყველა საკითხში და ტყუილად იყენებენ ამ დაქვემდებარებულ სასამართლოს თავიანთი მიზნებისთვის. მე უბრალოდ ამ მოსამართლეების გამკვირვებია, როცა უსჯიან ადამიანებს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე. როცა ეს ხელისუფლება შეიცვლება, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, სასამართლო უნდა გახდეს დამოუკიდებელი, თუ გვინდა, რომ კანონებს დავემორჩილოთ და ქვეყანამ კანონიერი გზით იაროს.



*— საკმაოდ მოკლე ვადაში სრულდება ბადრი ბიწაძის პროცესი...*

— ასე სჭირდებათ და იმიტომ. როდის იყო, ამ დროს პროცესები ტარდებოდა, ყველაფერი სექტემბრისთვის არის გადადებული. დღეს სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს არცერთი წევრი ადგილზე არ იყო, რომ ჩვენება მიეცა, მათაც სწორედ დღეს უნდოდათ. ამათ ხომ ყველა ინფორმაცია აქვთ, ვინ სად მიდის და რას აკეთებს. მე ქალაქიდან არ გავიდოდი, უბრალოდ, ღონისძიებაზე ვიყავი მიწვეული და პროცესიც სწორედ იმ დროს დანიშნეს, რომ ამას ჩვენი ხმაურიანი გამოსვლები არ მოჰყოლოდა, ბადრი ბიწაძის მხარდასაჭერი.

*— რობერტ სტურუას მოხსნაზე რაპს იტყვით?*

— შოკირებული ვარ ამ ამბის გამო, მაგრამ ისიც მიკვირს, ამდენ ხანს როგორ დატოვეს ამ თანამდებობაზე. ესენი ხომ სიმართლეს ვერ იტანენ, ყველას ებრძვიან.

*— დღეს კეთდება მოწოდებები, რომ საზოგადოებამ სამზარეულოებში პროტესტის გამოხატვას თავი დაანებოს და ხმა აიმაღლოს ამ უსამართლობის წინააღმდეგ.*

— სახალხო კრებაში სწორედ საზოგადოების წარმომადგენლები არ ვიყავით შეკრებილნი, ყველა რომ გვიტევდა?! მათ შორის გვიტევდა სახელისუფლო მედია და, რაც მთავარია, ამას არც ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი ერიდებოდა. მე ვერ გამიგია საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც კიდევ რაღაც ახალს ქმნის. შექმნილია ხომ სახალხო კრება, მოვიდნენ, დაგველაპარაკონ, გამოხატონ თავისი აზრი, თუ უნდათ, იქით მივალთ მათთან. ერთსულოვნება გვაკლია ქართველებს, ერთმანეთისადმი გვერდში დგომა. იცით, როგორ მომეწონა ჟურნალისტების ერთსულოვნება, თუ როგორ დაუდგნენ გვერდში ფოტორეპორტიორებს, როდესაც ეს ბიჭები აიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გული დამწყდა, მათ რომ აღიარებითი ჩვენებები მისცეს, ეს მათ ჩირქს მაინც ვერ მოსცხებს, ყველამ იცის, რომ ისინი უდანაშაულოები არიან. ჟურნალისტებმა კი ყველას აჩვენეს თუ რა შეიძლება გაკეთდეს ერთსულოვნებით. თუმცა არ შემიძლია აქვე არ ვთქვა, რომ ჟურნალისტების დიდმა ნაწილმა არაფერი თქვა იმ უსამართლობაზე, რაც 26 მაისის შემდეგ სახალხო კრების წევრებზე განხორციელდა.რისთვის, რა დავაშავეთ, მშვიდობიანი აქცია გვქონდა, კონცერტისთვის ვემზადებოდით და ხელისუფლების გადატრიალების მცდელობა დაგვაბრალეს. ამაზე დიდი უსამართლობა არსებობს?! მაგრამ უსასრულო ადამიანის მოთმინებაც არ არის. ერთხელაც იქნება და მთელი საქართველო იფეთქებს.

*— როდის იქნება ეს ერთხელ, ქალბატონო ნონა?*

— არ ვიცი, მაგრამ ხომ დადგა დრო, რომ გამოფხიზლდეს ხალხი!

*— სახალხო კრება რას აპირებს შემოდგომიდან?*

— ამ პერიოდში ძირითადად ხდებოდა ინფორმაციის გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ამასი დიდი წვლილი ქალბატონმა ნინომ შეიტანა. სააკაშვილის ძველი იმიჯი, თითქოსდა დემოკრატიის შუქურად რომ აღიარეს, უკვე დიდი ხანია, გამქრალია მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვემზადებით სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად, მაგრამ დღეს ყველაფერი მაინც თავად ხალხზეა დამოკიდებული. ამას არ უნდა იტანდეს თავმოყვარე ერი. ხალხი შიმშილის ზღვარზეა და ესენი განცხრომაში ცხოვრობენ. ეხლა კიდევ ახალი თვითმფრინავი შეუკვეთია სააკაშვილს. არცერთ ქვეყანაში ხალხი ამას არ აპატიებს მის ხელისუფლებას. მეტსაც გეტყვით, საკმარისია, უცხოეთში რომელიმე მინისტრზე, ან თუნდაც პრეზიდენტზე რაიმე მტკიცებულებები გამოქვეყნდეს, თუ ამ ადამიანმა თავი ვერ გაიმართლა, ის წერს განცხადებას და თანამდებობიდან მიდის. ჩვენ ჯერჯერობით ძალიან შორს ვართ ამ ყველაფრისგან. მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ამ ყველაფერს გაიაზრებს ხალხი. თუ მონობაშიი უნდა ხალხს ცხოვრება, მაშინ არ ვიცი. ამ ხელისუფლების ხელში პერსპექტივას ვერ ვხედავ ქვეყნის გადარჩენის, ერის გადარჩენის. თუ ყველანი არ გავერთიანდით, ისე არაფერი გამოვა!

## მასწავლებლებმა გამოცდა წელს უკეთ ჩააბარეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების 2011 წლის შედეგები გამოაქვეყნა. გამოცდების შედეგები განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე გამოაცხადეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კმაყოფილია მასწავლებელთა 2011 წლის სერტიფიცირების ნებაყოფლობითი გამოცდების შედეგებით.

როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, გასულ წელთან შედარებით, წელს ორჯერ მეტი - 2500 პედაგოგი აიღებს სერტიფიკატს. შარშან სერტიფიკატი მოიპოვა 1200-მა პედაგოგმა.

სასერტიფიკაციო გამოცდები არის ნებაყოფლობითი, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ სურვილისამებრ ჩააბარონ ერთი ან ორივე გამოცდა. სწორედ ამიტომ პედაგოგთა დიდი რაოდენობა წელს ერთ გამოცდაზე გავიდა, 5000-მა მასწავლებელმა წარმატებით გადალახა პროფესიული უნარების გამოცდის ბარიერი, ხოლო 4000-მა კი - საგნობრივის. მათ აღნიშნული შედეგები მომავალი წლისთვის შეენახებათ და 2012 წელს მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ.

ამ დინამიკით შეიძლება ითქვას, რომ 2014 წლისთვის, სანამ პედაგოგთა გამოცდები ნებაყოფლობითია,



მასწავლებელთა 60% უკვე გახდება სერტიფიცირებული.

სერტიფიცირებული მასწავლებლები ხელფასზე დანამატს - 75 ლარს მიიღებენ. იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი კომპიუტერისა და ინგლისური ენის გამოცდასაც ჩააბარებს, მისი დანამატი გაიზრდება 200 ლარამდე. ხოლო თუ ორივე გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში სერტიფიცირებული მასწავლებელი საუკეთესო მაჩვენებლების მქონე 25%-ში მოხვდება, მისი ფიქსირებული ხელფასი 1000 ლარი გახდება.

სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ასევე აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ მენტორ მასწავლებლად, ჩაერთონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებში, რაც ასევე დამატებით ანაზღაურებას გულისხმობს.

**მედიანიუსი**

## ცხინვალი პროვოკაციის მოლოდინშია

ცხინვალის ხელისუფლება ქართული მხარის მიერ მშვიდობიანი მსვლელობების მზადების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. ინფორმაცია სააგენტო „რესს“ პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენლის ოფისში მიაწოდეს.

კერძოდ, ოსური მხარის ინფორმაციით, მშვიდობიანი მიტინგების საშუალებით ქართული მხარე აგვისტოს ბოლოსთვის ე.წ. სახელმწიფო საზღვართან პროვოკაციებს გეგმავს. ეს ინფორმაცია დე-ფაქტო ხელისუფლებამ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელობასაც მიაწოდა.

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სავარაუდოდ, 26 აგვისტოსთვის, საქართველოს ხელისუფლების წაქეზებით, საქართველოს მთელ რიგ ტერიტორიებზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვართან მდებარეობს, იგეგმება ე.წ. „მშვიდობიანი მიტინგები“ სამხრეთ ოსეთის ყოფილ მცხოვრებთა მონაწილეობით, — ნათქვამია მისიაში გაგზავნილ წერილში.

ოსური მხარის განცხადებით, პროვოკაციის განხორციელების შემთხვევაში, ე.წ. საზღვარზე ვითარება მკვეთრად დაიძაბება, რამდენადაც ცხინვალის ხელისუფლება „იძულებული იქნება მიიღოს ყველა ზომა, რათა არ დაუშვას ე.წ. საზღვრის არასანქცირებულ გადაკვეთა“. პასუხისმგებლობას კი დე-ფაქტო რეჟიმი ქართულ მხარეს და ევროკავშირის დამკვირვებლებს აკისრებს.

**ინტერპრესნიუსი**



## ბადრი ბიწაძის მიმართ განაჩენი 19 აგვისტოს გამოცხადდება

ბადრი ბიწაძის მიმართ განაჩენი 19 აგვისტოს, 15:00 საათზე გამოცხადდება, - ამის შესახებ “ინტერპრესნიუსს“ ბიწაძის ადვოკატმა ლევან სამუშიამ განუცხადა.

გუშინდელ სხდომაზე კი სასამართლო გამოძიება დასრულდა. ადვოკატებმა საკამათო სიტყვა წარმოადგინეს, რომლითაც ბიწაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვეს. პროკურატურა ბრალდებულის გამტყუნებას ითხოვს.

ბადრი ბიწაძეს 26 მაისის აქციებთან დაკავშირებით ბრალად ედება პოლიციელებზე თავდასხმის ჯგუფის ორგანიზება. დანაშაული 7-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. სასამართლო პროცესი ბრალდებულის დაუსწრებლად მიმდინარეობს. ბიწაძეზე ძებნაა გამოცხადებული.

**ინტერპრესნიუსი**

## ქართული ღვინო სტამბოლის საერთაშორისო აეროპორტში გაიყიდება

სტამბოლის ათათურქის საერთაშორისო აეროპორტში, „დუთი ფრის“ ზონაში გაიხსნა ქართულ ღვინის კუთხე, სადაც სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოებული ქართული ღვინის ბრენდები გამოიფინა.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს, სტამბულის ათათურქის საერთაშორისო აეროპორტში, რომელიც მგზავრთა გამტარუნარიანობით ევროპაში რიგით მერვე აეროპორტია, ქართულ ღვინოს 20 მილიონამდე მგზავრს შესთავაზებენ. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ქართული ღვინის პოპულარიზაციას, არამედ ეროვნული ღვინის პროდუქციის შესახებ ცნობადობის გაფართოვებას და საერთაშორისო ბაზარზე პოზიციის გამყარებას.

**მედიანიუსი**

## სამართალდამცველების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტზე გამოძიება გრძელდება

პროკურორ პროკოფი ჭანკვეტაძის თქმით, 25-26 მაისის მოვლენების დროს სამართალდამცველების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტზე თბილისისა და გენერალურ პროკურატურებში გამოძიება გრძელდება.

აღნიშნული განცხადება პროკურორმა სასაზღვრო პილიციის ყოფილი შეფის ბადრი ბიწაძის გუშინდელ დასკვნით სასამართლო პროცესზე, ადვოკატის ლევან სამუშიას განცხადების საპასუხოდ გააკეთა, რომლის თანახმად, 25-26 მაისის მოვლენების დროს, სამართალდამცველთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას - მათ ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში შეუშალეს ხელი, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ჩამოართვეს აპარატურა და ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია ზოგიერთი მათგანის დაკავებასთან დაკავშირებითაც.

ადვოკატის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით შს სამინისტროს მხრიდან მხოლოდ ზოგადი განცხადება გაკეთდა, რომ ძალის გადამეტებით გამოყენებაში შემჩნეული პირები დაისაჯნენ, მაგრამ მათი ვინაობა არ გახმაურებულა, რაც სამუშიას თქმით, ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ არავინ არ დასჯილა.

— პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტებით გამოყენებასთან დაკავშირებით, თბილისის პროკურატურისა და მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ სამსახურებში გამოძიება მიმდინარეობს და ალბათ საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ ეს ორი უწყება თავიანთ დასკვნებს დადებს. ეს არის ის ინფორმაცია, რასაც მე დანამდვილებით ვფლობ, — განაცხადა პროკურორმა.

**პირველი**

## დევნილებს სასტუმრო „კოლხეთიდანაც“ გამოასახლებენ

საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ ინფორმაციით, სასტუმრო “კოლხეთში“ მცხოვრები დევნილების გამოსახლებაც იგეგმება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ დევნილთა ომბუდსმენმა მაია ხარაძემ განუცხადა, არ არის გამორიცხული, რომ რამდენიმე დღეში, დევნილთა სამინისტროს მიერ, გამოსახლების შესახებ გაფრთხილების ფურცლები სასტუმრო „კოლხეთში“ მცხოვრებ დევნილებს მიუტანონ.

მისივე ცნობით, სასტუმრო „კოლხეთში“ 110 ოჯახი ცხოვრობს და ძირითადად სამაჩაბლოდან დევნილი ოჯახები არიან, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე კოლხეთში„ კომპაქტურად არიან ჩასახლებული.

— ხელისუფლება, ფორსმაჟორული ტემპით და განსაკუთრებული აგრესიით აგრძელებს დევნილთა იძულებით გამოსახლებას. სააკაშვილსა და სუბელიანს სულ არ ადარდებთ დევნილთა ბედი და არ აინტერესებთ, საქართველოს კანონმდებლობითა თუ საერთაშორისო ნორმებით დაცული დევნილთა უფლებები, — განაცხადა მაია ხარაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## საზოგადოებრივი მაუწყებელი საავტორო უფლებების ლიცენზიას ყიდულობს



გუშინ, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას შორის სალიცენზიო შეთანხმება გაფორმდება. ლიცენზიის საფუძველზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, პირველი არხის, პირველი კავკასიურის და მეორე არხის ტელეეთერებში საავტორო უფლებების გამოყენებისთვის ჰონორარები იქნება გადახდილი, რასაც ასოციაციის მეშვეობით ავტორები მიიღებენ.

როგორც საავტორო უფლებათა ასოციაციაში აცხადებენ, ტელემაუწყებლობის მიერ ასეთი ლიცენზიის შეძენა წარმოადგენს პირველ პრეცედენტს საქართველოში, რომლითაც მნიშვნელოვნად შემცირდება ტელეეთერში საავტორო უფლებებით დაცული პროდუქციის უნებართვოდ გამოყენება და ყველა ავტორი კუთვნილ ჰონორარს მიიღებს. ასევე მკვეთრად გაიზრდება საქართველოში საავტორო უფლებების დაცულობის მაჩვენებელი, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ინტელექტუალური საკუთრების ლეგალური მოხმარების კულტურის დანერგვას.

**მედიანიუსი**

## საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით ბრალდებული გამართლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ადვოკატის ნუგზარ თამარაშვილის ძალისხმევით, ნინოწმინდის მკვიდრი — ბრალდებული გ.ვ., რომელსაც სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ იურიდიული დახმარების სამსახურიდან აცნობეს, საქმის მასალების მიხედვით, გ.ვ.-ს ბრალი ედებოდა ნინოწმინდაში, ე.ი.-ს ეზოში განთავსებული, ა.ფ.-ის კუთვნილი 4 ტონა თივის დაწვაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ბრალდების მხარემ სასამართლოში მოწმეების სახით თვითმხილველები და ბრალდებულის ყოფილი მეუღლე ს.ვ. წარადგინა. ვერც ერთი მოწმე ვერ ადასტურებდა, რომ თივას ცეცხლი სწორედ გ.ვ.-მ წაუკიდა. ამასთან, ს.ვ. აცხადებდა, რომ მომხდარის შესახებ პოლიციელებისგან შეიტყო.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა ნუგზარ თამარაშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. მან სასამართლოში ყურადრება პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობაზე გაამახვილა. კერძოდ, ვერც ერთი მოწმე პირდაპირ ვერ უთითებდა გ.ვ.-ს მიერ თივის დაწვის ფაქტზე.

საბოლოოდ, ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და გ.ვ.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო რეგიონის მრავალეთნიკურ მოსახლეობას 2010 წლიდან ემსახურება. ბიურო ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მკვიდრთ სისხლის სამართლის საქმეებზე - უფასო საადვოკატო მომსახურებას, ხოლო სამართლის სხვა დარგებში უფასო იურიდიულ კონსულტაციებს უწევს. გარდა ამისა, იურიდიული კონსულტაციით სარგებლობა ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრშიცაა შესაძლებელი. სამცხე-ჯავახეთში იურიდიული დახმარების სამსახურის ორივე ოფისი გაერო-ს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ამოქმედდა.

**„ინტერპრესნიუსი“**

## ცესკომ არჩევნებისთვის სტრატეგიული გეგმის პროექტი შეიმუშავა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მომავალი არჩევენბისთვის სტრატეგიული გეგმის პროექტი შეიმუშავა.

როგორც ცესკო-ში აცხადებენ, პროექტი 2011-2015 წლებზეა გათვლილი და ქვეყანაში არსებული საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ემსახურება.

მათი თქმით, დოკუმენტის შექმნის მიზანია, ხელი შეუწყოს საზოგადოების მხრიდან საარჩევნო პროცესისადმი ნდობის გაღრმავებას.

— 2012 წელს საქართველოს პარლამენტის და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია დაგეგმილი, 2013 წელს — საპრეზიდენტო, 2014 წელს კი — ადგილობრივი თვითმმართველობის. სტრატეგიული გეგმა აღნიშნული არჩევნებისათვის სამზადისის განუყოფელი ნაწილია.

გეგმის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაცია მიზნად ისახავს სამი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზნის განხორციელებას: საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაციას, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და ამომრჩეველთა მაქსიმალურ ინფორმირებას,— აღნიშნავენ და ცესკოში.

**მედიანიუსი**

## მალაიზიაში დაკავებული ქართველების სასამართლო თარჯიმნის არარსებობის გამო გადაიდო

მალაიზიაში დაკავებული ქართველი ქალბატონების სასამართლო პროცესი ენის ბარიერის გამო ჩაიშალა. ადგილობრივი მედიის ცნობით, სასამართლო პროცესი კომპეტენტური თარჯიმნის არარსებობის გამო გადაიდო, რის გარეშეც შეუძლებელია როგორც სასამართლო პროცესის წარმართვა, ისე ბრალდებულების ადვოკატებთან კომუნიკაცია.

ამის შესახებ დარეჯან კოხტაშვილის მალაიზიელმა ადვოკატმა ჯაგდიპ სინგ დეომ განაცხადა.

— საქმეში ორი თვის წინ ჩავერთე. ამ დრომდე, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან დიდი ხნით პირისპირ შეხვედრის საშუალება არ მქონია. ამას პროცესზე თარჯიმნის პრობლემაც დაემატა. ენის ბარიერის გამო მასთან საუბარი მეც მიჭირს, — განაცხადა ჯაგდიპ სინგ დეომ.

იგივე განცხადებას აკეთებს ბაბუცა გორდაძის ადვოკატი რონი ჩამიც.

— სასამართლო პროცესი ისევ გადაიდო, ამ ეტაპზე თარჯიმნის პრობლემის გამო. ამიტომ მოვითხოვეთ დრო, გამოძიების მასალების უკეთ გასაცნობად და თარჯიმნის მოსაძებნად, რომ პროცესის დროს ენობრივი ბარიერი არ გვქონდეს. თავად დაკავებულს სასამართლო დარბაზშიც ვესაუბრე და ციხეში ეტაპირების დროსაც. იგი თავს კარგად გრძნობს, — განაცხადა რონი ჩამმა.

მალაიზიური პრესის ცნობით, ქალაქ კოტა-კინაბალუს სასამართლოს წარმომადგენლებმა მალაიზიაში აზერბაიჯანისა და უკრაინის საელჩოებს ქართულ და რუსულენოვანი თარჯიმნების მოძებნის თაობაზე თხოვნით უკვე მიმართეს. მორიგი სასამართლო პროცესი კი 19 აგვისტოს არის ჩანიშნული.

შეგახსენებთ, რომ უკვე 296 დღეა, მალაიზიაში საქართველოს ორი მოქალაქის, ბაბუცა გორდაძისა და დარეჯან კოხტაშვილის სასამართლო პროცესი გრძელდება. ორივე ქართველი ქალბატონი ათ კილოგრამზე მეტი ნარკოტიკ სუაბუს„ შეტანაშია ბრალდებული. მალაიზიური კანონმდებლობით, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში გორდაძესა და კოხტაშვილს უმაღლესი სასჯელი - სახჩობელის გზით სიკვდილით დასჯა ელით.

ქართველები, გასული წლის 24 ოქტომბერს ქალაქ მენგატალში დააკავეს, როდესაც ისინი თურქეთი-მაროკო-კამერუნის გავლით მალაიზიაში ჩაფრინდნენ. დაკავებულები დანაშაულს არ აღიარებენ და აცხადებენ, რომ ნარკოტიკის არსებობის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ.

ცნობისთვის, ბოლო 35 წლის განმავლობაში, ნარკოდანაშაულის გამო მალაიზიაში 300-ზე მეტი ადამიანი დასაჯეს სიკვდილით.

**პირველი**

# კოკოითი ცხინვალში კაზაკების ჩამოსახლებას აპირებს

### რა პრობლემები შეიქმნება სოხუმსა და ცხინვალში

თეა მარხვაი ე



**სამხრეთ ოსეთში შემოდგომა პოლიტიკურად საკმაოდ ცხელი იქნება. ნოემბერში აქ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. არჩევნების ზუსტი თარიღი სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა გუშინდელ სხდომაზე განსაზღვრა. ოსი დეპუტატების გადაწყვეტილებით, ისინი ახალ პრეზიდენტს 13 ნოემბერს აირჩევენ.**

**13 ნოემბერსვე ჩატარდება რეფერენდუმი, რომელმაც უნდა განსაზღვროს, გახდება თუ არა ცხინვალში რუსული მეორე სახელმწიფო ენა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა დროა დარჩენილი. თავისი კანდიდატურა კი ჯერ არავის წამოუყენებია.**

**ამის მიუხედავად, წინასაარჩევნო კამპანია დაწყებულია. კოკოითის მომხრეები და მოწინააღმდეგეები უკვე შეუდგნენ ერთმანეთის ლანძღვას. ჩვენი ოპოზიციის მსგავსად, ოსური ოპოზიციაც ხელისუფლებას უსაქმურობასა და თანხების მითვისებაში ადანაშაულებს.**

ამ არჩევნებში, კონსტიტუციის წყალობით, კოკოითი მონაწილეობას ველარ მიიღებს. თუმცა, მის მიერ ნაკეთებმა საქმეებმა შეიძლება მის მემკვიდრეს მოსჭრას „კბილი“.კოკოითიმ ბევრი არაპოპულარული გადაწყვეტილება მიიღო. ბოლო გენიალურმა აზრმა კი რამდენიმე დღის წინ გაუელვა თავში.

მან გადაწყვიტა, რომ სამხრეთ ოსეთში კაზაკები ჩაასახლოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამხრეთ ოსეთი მოსახლეობისგან მთლიანად დაცლილია, კოკოითი შეიძლება ვილაცამ გაამართლოს.

ის გასულ წელს რამდენჯერმე საგანგებოდ ჩავიდა ვლადიკავკაზში, სადაც იქ მცხოვრებ ცხინვალელებს შეხვდა. მათ უკან დაბრუნებისკენ მოუწოდა. უკან დაბრუნებისკენ მოუწოდა მან ახალგორის ქართულ მოსახლეობასაც. მისი შეთავაზება არავინ მიიღო. როგორც ჩანს, მან სწორედ ამიტომ გადაწყვიტა კაზაკების ჩამოსახლება.

ეს ინფორმაცია ცნობილი ცხინვალში გამართულ ფორუმზე „ირისტონ 2011“ გახდა ცნობილი. ოსური საინფორმაციო სააგენტო „რეს“-ის ინფორმაციით, ამ ფორუმზე კოკოითიმ პირველად გაახმოვანა მიწის გრძელვადიანი იჯარით გაცემის საკითხი.

— ჩვენ ვფიქრობთ რესპუბლიკის ეკონომიკის აღორძინებაზე რუს ბიზნესმენებთან თანამშრომლობის გაღრმავებით და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვით, რომლებსაც საწარმოებისთვის მიწები 99 წლის ვადით იჯარით გადაეცემათ, — აღნიშნა ფორუმზე კოკოითიმ.

კოკოითის არც იმ გეგმის ხსენება დავიწყნია, რომელიც რუსი კაზაკობისთვის ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფის პარალელურად საკუთარი მეურნეობის განვითარებისთვის დაცარიელებული მიწების გადაცემას ითვალისწინებს.

2004 წელს ცხინვალში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ოსების დასახმარებლად ბლომად ჩავიდნენ კაზაკები. ისინი ავად სახსენებელი აგვისტოს ომის დროსაც ვიხილეთ.

ერთი შეხედვით, კოკოითი მათ ამას მადლიერების ნიშნად უნდა უკეთებდეს. ქართველი ექსპერტი გოგი მაისურაძე კი კოკოითის ინიციატივის უკან რუსეთის განზრახვას ხედავს.

— 21-ე საუკუნეში კაზაკობის ინსტიტუტის აღორძინება, რომელმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ათვისების საქმეში, თავად უკვე გახლავთ მრავლისმეტყველი ფაქტი, თუმცა რამდენადაა მისაღები დღევანდელი რუსეთისთვის მე-18-19 საუკუნეებში ნაცადი ხერხები, სხვა საკითხია და იგი მკითხველისთვის მიგვინდვია. ისტორიულმა მეხსიერებამ კარგად შემოინახა რუსული კაზაკობის ყველა დამსახურება საკუთარი მამულის წინაშე, რომლებიც მთელი მრწამსით თავდადებულად ემსახურებოდნენ სახელმწიფოს, საკუთარი სიცოცხლისა თუ სხვა ადამიანური ფასეულობების სამეფო ტახტის ინტერესებისთვის მსხვერპლად შეწირვის ფასად... თავის მხრივ, სახელმწიფოც იჩენდა „დედობრივ“ მზრუნველობას მათდამი განსაკუთრებული შეღავათების დაწესებით. 1917 წლის რევოლუციამდე, რუსეთის იმპერიის უკიდეგანო სივრცეში, საზღვრების მიმდებარე მიწების მთელ გაყოლებაზე იქმნებოდა კაზაკთა სადგომები, სადაც ისინი სახელმწიფო საზღვრის დაცვის ძირითადი მოვალეობის შესრულების პარალელურად, საკუთარ დამხმარე მეურნეობასაც ავითარებდნენ, — ამბობს „ექსპერტთა კლუბის“ ექსპერტი გოგი მაისურაძე.

მისი აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ დღეს კრემლი კაზაკთა ფორმირებების აღდგენის საქმეში დიდ ფულს დებს.

— კაზაკური ფორმირებების აღდგენის შესახებ თავისი გადაწყვეტილებებით, ერთი შეხედვით, რუსული ხელისუფლება უნებლიეთ ხელს აწერს იმას, რომ ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება დღეს არსებულ საზღვრებში, მას თანდათან უფრო და უფრო უძნელდება, კაზაკები მათთვის ის საყრდენია, რომლის საშუალებითაც მათ შეეძლებათ თავიანთი გავლენის შენარჩუნება ნგრევის პირამდე მისულ რუსულ სახელმწიფოში, — მიიჩნევს მაისურაძე.

მისი ვარაუდით, კრემლმა გადაწყვიტა, კაზაკები სამუდამოდ ჩაასახლოს ცხინვალის რეგიონში, რითიც ბოლომდე აითვისებს ქართველებისთვის წართმეულ მიწას.

— კოკოითის მიერ გახმოვანებული იდეის რეალურად განხორციელების შემთხვევაში, კაზაკებისთვის საცხოვრებლად, უწინარეს ყოვლისა, შეთავაზებული იქნება ოკუპაციის ზონის გასწვრივ მდებარე სახლები, როგორც ცხინვალის რეგიონში, ასევე აფხაზეთში. მათ გადასცემენ ქართველი დევნილების კუთვნილ სახლებსა და მიწის ნაკვეთებს. ამ აქციის შედეგად რუსი ხელისუფალნი მიაღწევენ ქვეყნის ინტერესებისა და სახელმწიფო საზღვრების დამცველი, ყველაზე საიმედო კონტინგენტის მაქსიმალურ გადანაწილებას, — ამბობს ექსპერტი.

გოგი მაისურაძის აზრით, რუსეთი იძულებულია, ასე მოიქცეს, რადგან ხვდება, რომ ჩრდილოკავკასიელების იმედად არ უნდა იყოს.

კაზაკების ჩასახლებით აფხაზეთისა და ცხინვალის ხელისუფალნიც იხეირებენ. როგორც მაისურაძე ამბობს, ამით ისინი სახელისუფლებო სტრუქტურებში ყოფნას გაახანგრძლივებენ. მთავარი კი ისაა, რომ მათი ჩასახლების შემთხვევაში იქ ქართველებისთვის ადგილი აღარ დარჩება.

— რუსი კაზაკების „ყველა აუცილებელი“ პირობებით უზრუნველყოფის შემდეგ, სეპარატისტებს გაუჩნდებათ იმის ცდუნება, რომ ყველას გასაგონად, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე განაცხადონ: „ჩვენ პრინციპში არა ვართ დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნების წინააღმდეგნი, მაგრამ სად დაბრუნდებიან, სახლები დაკავებულია კაზაკების მიერ“, — ამბობს გოგი მაისურაძე.

მიწების 99-წლიანი იჯარით გაცემით, მაისურაძის აზრით, სეპარატისტები რუსეთის მოქალაქეებს პრაქტიკულად სამუდამოდ უკანონებენ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ ქონებას.

ქართველი ექსპერტის აზრით, აფხაზები და ოსები ძალიან მალე ინანებენ, რომ კაზაკების ჩასახლებას დათანხმდნენ.

— კაზაკები, მათი ფსიქოლოგიური განწყობიდან გამომდინარე, არასოდეს ხელს არ მოჰკიდებენ ისეთ არაპრესტიჟულ საქმეს, რომლითაც ამჟამად იქ დასაქმებული არიან ფულის საშოვრად ჩასული გასტერბაიტერები შუა აზიიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან. სეპარატისტებმა ერთი რამეც კარგად უნდა გაითვალისწინონ, რომ კაზაკები რევერანსებით ლაპარაკს არარუსი ეროვნების „მბრძანებლებთან“ ჩვეული არ გახლავან, მით უმეტეს, თუ საუბარია კავკასიური წარმოშობის მოხელეებზე, — აცხადებს ქართველი ექსპერტი.

## საბურთალოს ნაწილს დღეს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება

საბურთალოს რაიონის ნაწილს დღეს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება. როგორც „პირველს“ კომპანია „თელასიდან“ აცნობეს, ქვესადგურში „საბურთალო-3“ სარემონტო სამუშაოების გამო, დღეს, 10:00-დან 18:00 საათამდე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას გამზირის, ვაჟა-ფშაველას II კვარტლის, საირმის, გაგარინის, ლვოვის, ოდესის, კანდელაკის, ზემო ვეძისის, ბუდაპეშტის, დელისის და მიმდებარე ქუჩების მცხოვრებლებს ელექტრომომარაგება შეუწყდება.

სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგება.

**პირველი**

## ნავთობის ფასი გაიზარდა

მსოფლიო სანავთობო ბაზარზე ნავთობის ფასმა მოიმატა.

ლონდონის ბირჟაზე ნავთობის ფასმა ბარელზე 0,24 დოლარით მოიმატა და 109,37 დოლარი შეადგინა.

ნიუ-იორკის ბირჟაზე კი, ნავთობის ფასი 0,44 დოლარით გაიზარდა და 87,09 დოლარი შეადგინა.

**ინტერპრესნიუსი**

# ახალი „მარშრუტკები“ უკვე გაფუჭდა

## სექტემბრიდან მგზავრობა ისევ გა ვირდება

თეა მარხვაი ე



**ყვითელი „მარშრუტკები“ თბილისში ივლისის შუა რიცხვებიდან გამოჩნდა. მათზე ჭორაობა კი გაცილებით ადრე დაიწყო. დაახლოებით ერთი წლის წინ იყო ცნობილი, რომ ხელისუფლება ამ ბიზნესის სრულად გაკონტროლებას აპირებდა. სწორედ ამიტომ ჩატარდა მერიაში ის ცნობილი ტენდერი.**

**ამ ტენდერში 4-მა კომპანიამ გაიმარჯვა. სწორედ ეს 4 კომპანია „აყვითლებს“ თბილისს. გვპირდებიან, რომ შემოდგომის ბოლოსთვის თბილისში მხოლოდ ყვითელი ტრანსპორტი ივლის.**

რატომ აიჩემა ხელისუფლებამ ეს ყვითელი ფერი, არავინ იცის. თავის დროზე ავტობუსებიც ყვითელი შემოიყვანეს. ეტყობა ამის მიზეზი ნამდვილად აქვთ. რადგანაც ნაციონალები შემთხვევით არაფერს აკეთებენ.

თბილისის მერიამ გვამცნო, რომ ახალი „მარშრუტკები“ აღჭურვილნი იქნებიან ელექტრონული გადახდის მოწყობილობით და კონდიცირებით. გვახარეს ისიც, რომ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს ერთნაირი სპეცტანისამოსი ეცმევათ. ეს სპეცტანსაცმელიც რატომღაც ყვითელი ფერისაა. სულ თბილისში 3078 ყვითელმა „მარშრუტკამ“ უნდა იმოძრაოს. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები „ფორდის“ ტიპის ავტომობილების ჩამოყვანას ერთი წლის ვადაში გეგმავენ.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ეს „მარშრუტკები“ ახალი და კომფორტულია. კომფორტი ძვირი სიამოვნებაა და ამიტომაც გააძვირეს მგზავრობა. თავიდან მხოლოდ ყვითლებმა.

როგორც სხვა შემთხვევაში ხდებოდა, დანაპირები არც ამჯერად გამართლდა. ახალი „მარშრუტკების“ ნაწილი უკვე გამოვიდა მწყობრიდან. ზოგიერთებს კი კონდინციონერები არ მოჰყოლია.

როგორც ყვითელი „მარშრუტკის“ მძღოლები ამბობენ, ამ მანქანებს პრობლემები ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში შესვლამდე შეექმნათ.

— ეს მანქანები ფოთიდან ჩამოვიყვანეთ თბილისში. პრობლემები გზაზევე შეიქმნა. ამორტიზატორები და „კაროპკები“ ვერ ქაჩავენ. არც კონდინციონერები ჰქონდა რამდენიმეს. სულ ფანჯრიდან თავგამოყოფილებმა ვიარეთ, — ამბობენ მძღოლები, რომლებიც ვინაობას არ ასახელებენ.

ამორტიზატორების გარდა, როგორც ჩანს, ვერც სკამები „ქაჩავენ“. რამდენიმე „მარშრუტკაში“ უკვე მოირყა სკამები, რაც ჩვენი მგზავრების ბრალიც შეიძლება იყოს.

როგორც მძღოლები ამბობენ, მათ საკმაოდ ცუდ პირობებში უწევთ მუშაობა. მანქანის დაზიანების შემთხვევაში ზარალი მათ უნდა აანაზღაურონ.

— ვიცით, რომ იმ შემთხვევაში შეგვიკეთებენ მანქანას, თუ ზარალის ოდენობა 1000 დოლარს გადააჭარბებს. ასეთი ავარია თუ მოვახდინე, ჩათვალეთ, რომ მთელი მგზავრები უნდა დავხოცო, — გვითხრა ერთ-ერთმა მძღოლმა.

ერთადერთი პირობა, რომელიც მერიამ გამარჯვებულებს ჩაუდო, არის დასაქმება არსებული სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისა, თუმცა ეს პირობა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდება. რადგანაც 4 კომპანია მხოლოდ მძღოლების ნაწილს დაასაქმებს.

პირობის თანახმად, პიროვნებას, რომელსაც ყვითელ „მარშრუტკაზე“ უნდა მუშაობის დაწყება ანგარიშზე სულ ცოტა 500 ევრო უნდა ჰქონდეს. ძველ „მარშრუტკებზე“ მომუშავე მძღოლების დიდ ნაწილს კი ასეთი თანხა ანგარიშზე არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა სამსახურის ძებნა მოუწევთ.

უკვე დასაქმებულ მძღოლებს კი ბევრი თავსატეხი აქვთ. მათ ნებისმიერ წუთში შეიძლება დაკარგონ სამუშაო. თანაც ძალიან მარტივი მიზეზის გამო. შეიძლება მათ შარი იმის გამო მოსდონ, რომ მანქანაში ნასვამი მგზავრი ავიდა.

გავრცელებული ინფორმაციით, „მარშრუტკებით“ მგზავრობა 1 სექტემბრიდან კიდევ გაძვირდება. ერთ-ერთი ვერსიით, ის ლარი გახდება, მეორე ვერსიით კი — 1.20 ლარი. იტყვიან, რომ გადახდილი 80 თეთრით კომფორტულ „მარშრუტკებს“ ვერ ინახავენ.

მითქმა-მოთქმა ამ „მარშრუტკებთან“ დაკავშირებით, როგორც ჩანს, კიდევ გაგრძელდება. ოპოზიციის მტკიცებით, სამარშრუტო ტაქსების ბიზნესი ხელში ჩაიგდო ერთმა მონოპოლისტმა, რომელიც მგზავრობის საფასურს როცა მოესურვება, მაშინ გაზრდის.

ოფიციალური ვერსიით, ამ სფეროში 4-მა კომპანიამ გაიმარჯვა. ეს სასაცილოდ მიაჩნია რესპუბლიკელ თინა ხიდაშელს.

— ყველა გამარჯვებული კომპანია რეგისტრირებულია ერთსა და იმავე მისამართზე, ყველა რეგისტრირებულია ერთსა და იმავე ნოტარიუსთან, ერთსა და იმავე დროს, მოსაკრებელი ბანკში გადახდილი აქვთ ერთდროულად და ერთი და იგივე იურისტი ემსახურებოდათ, — ამბობს თინა ხიდაშელი.

მისი თქმით, მარტო ეს არგუმენტიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ამ ბიზნესის უკან ერთი კომპანია დგას.

# პუტინმა და მედვედევმა ერთად გაისეირნეს



რუსეთის პრეზიდენტმა და პრემიერმა წყალქვეშა სამყარო ამჯერად ერთად დაათვალიერეს.

„გაზეტა.რუ“-ს ცნობით, ასტრახანში, მდინარე ვოლგის ფსკერზე დიმიტრი მედვედევი და ვლადიმერ პუტინი ერთად ჩავიდნენ და სპეციალური აპარატურით სურათებიც გადაიღეს.

მანამდე კი რუსეთის პირველმა პირებმა ვოლგის სანაპიროზე საზღვაო ტრანსპორტით თავად გაისეირნეს, მანამდე კი თავი თევზაობითაც შეიქციეს.

გასულ კვირას პუტინმა ქალაქ ფანაგორიაში 2 მეტრის სიღრმეზე მარტომ ჩაყვინთა და მაშინვე რამდენიმე საუკუნის წინანდელი ამფორები აღმოაჩინა, რამაც დასავლური მედიის ჟურნალისტების მხრიდან დაუფარავი ირონია გამოიწვია.

იპოვეს თუ არა ამჯერად პრეზიდენტმა და პრემიერმა წყალქვეშ რაიმე ღირებული, ინფორმაცია არ ვრცელდება.

**ინტერპრესნიუსი**

# ქართველი სტუდენტები ირანში გაემგზავრნენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის 10 სტუდენტი სპარსული ენის შესწავლის 76 ე საერთაშორისო კურსებში მონაწილეობის მიზნით ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გაემგზავრა. პროექტი საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ინიციატივით განხორციელდა.

აღნიშნული კურსები სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების ცენტრისა და შირაზის უნივერსიტეტის მიერ ქალაქ შირაზში იმართება.

სტუდენტთა კურსებში მონაწილეობის ხარჯები ირანის საელჩომ უზრუნველყო.

**ინტერპრესნიუსი**

# საბავშო ბაღებთან დაკავშირებით მერიამ დისკრიმინაციული გადაწყვეტილება მიიღო



„დემოკრატიული მოძრაობა“ თბილისის მერიის გადაწყვეტილებას საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით აპროტესტებს.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრმა ზაზა სოფრომაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ ბაღებთან დაკავშირებით მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დისკრიმინაციულია, რადგან იმ ოჯახების ბავშვები, რომლებიც სოციალურად დაუცველის სტატუსს 15 აგვისტოს შემდეგ მიიღებენ, საბავშვო ბაღებში უფასოდ ვერ ისწავლიან.

ზაზა სოფრომაძემ ასევე აღნიშნა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში 20%-იანი ცდომილებაა, რის გამოც შესაძლოა რეალურად ღარიბი ოჯახის ბავშვმა 200 ათასზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ბევშვებთან ერთად ბაღში უფასოდ ვერ ისწავლონ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ მერიის გადაწყვეტილება მიუღებელია იმის გამოც, რომ იგი გადასახადების ზრდის ფონზე განხორციელდა.

სოციალურად დაუცველი ბავშვების რეგისტრაცია თბილისის მუნიციპალურ ბაღებში 15 აგვისტოს დასრულდა. ბავშვების რეგისტრაციის პროცესს თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ახორციელებს, რომელიც მერიის მიერ ბაგა-ბაღების სამართავად აგვისტოს თვის დასაწყისში შეიქმნა. საბავშო ბაღებში აღმზრდელობითი პროცესი კი 15 სექტემბრიდან დაიწყება. ახალი რეფორმით სწავლა ფასიანი გახდა.

**ინტერპრესნიუსი**

# გურჯაანში რიყის ქვის უძველესი ნაკეთობა იპოვეს

გურჯაანში, ე.წ. გოძიანთეულის ტერიორიაზე რიყის ქვისაგან გაკეთებული ადამიანის თავის ქანდაკება აღმოაჩინეს. სპეციალისტების ვარაუდით, ქანდაკება ადრეულ სამიწათმოქმედო კულტურის პერიოდს განეკუთვნება.

ექსპერტების განცხადებით, რიყის ქვისაგან გაკეთებული მსგავსი ქანდაკება აქამდე მხოლოდ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე იყო აღმოჩენილი.

ადგილობრივი სპეციალისტები ე.წ. გოძიანთეულის ტერიტორიის მეცნიერული შესწავლის ინიციატივით გამოდიან.

უძველესი ნაკეთობა მიწის დამუშავების დროს იპოვეს. **მედიანიუსი**

# რუსეთმა 4 მილიარდი დოლარი დაკარგა

ლიბიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების გამო რუსეთმა 4 მილიარდი აშშ დოლარი დაკარგა. ნტრო.რუ-ს ინფორმაციით, ამის შესახებ განცხადება რუსეთის „როსოობორნექსპორტის“ გენერალურმა დირექტორმა ანატოლი ისაიკინმა გააკეთა.

აღსაიშნავია, რომ რუსეთს ზემოხსენებული თანახა ლიბიის ხელისუფლებასთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის კუთხით გაფორმებული კონტრაქტებიდან უნდა მიელო, თუმცა ლიბიაში ომი დაიწყო.

**მედიანიუსი**

# ნესტან კირთაძე: „უქმეებზე გაძვირებული ტრანსპორტით ნუ იმგზავრებთ!“

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტია ხელისუფლების მიერ გაძვირებული მიკროავტობუსების თემას კიდევ ერთხელ უბრუნდება და მოსახლეობას მოუწოდებს, უქმე დღეებში მაინც ნუ ისარგებლებენ გაძვირებული მიკროავტობუსებით.**

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ საზოგადოების პროტესტის ამგვარი ფორმა სერიოზულად დაარტყამს ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენების — შარანგიების ბიზნეს-ინტერესებს.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ განაცხადა, თუკი მოსახლეობა ამას გააკეთებს და სოლიდარული იქნება, ეს აუცილებლად დაარტყამს სამომხმარებლო ბაზარზე ერთადერთ მონოპოლისტ და ხელისუფლების კარის ბიზნესჯგუფის — შარანგიების ბიზნეს-ინტერესებს.

— ხელისუფლების ძალადობის ამ ზაფხულმა კიდევ უფრო მძიმე და გაუსაძლისი გახადა ჩვენი მოსახლეობის ისედაც უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობა. საქართველოს



ლეიბორისტული პარტია დღეს კიდევ ერთხელ ეხმაურება გაძვირებული მიკროავტობუსების პრობლემას და ამჯერად საგანგებოდ მიმართავს მოსახლეობას, უქმე დღეებში მაინც ნუ ისარგებლებენ სამარშრუტო მიკრო-

ავტობუსებით, — განაცხადა ნესტან კირთაძემ პრესკონფერენციაზე.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელი ფიქრობს, რომ საზოგადოების მსგავსი გადაწყვეტილება ხელისუფლების ანტიხალხური გადაწყვეტილებების სრულად განხორციელებას ხელს შეუშლის და ხელისუფლებას უკან დაახევინებს. ამ შემთხვევაში კი ნესტან კირთაძე ფიქრობს, რომ ხელისუფლება იძულებული გახდება, სამარშრუტო ტაქსების ღირებულება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ნიშნულზე დაიყვანოს.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტული პარტია მუდმივად აკეთებს აქცენტს ხელისუფლების მიერ ფასების უკანონოდ გაძვირებასა და იმ პრობლემებზე, რომლებსაც ეს გაძვირებული ტარიფები უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ საზოგადოებაში წარმოშობს.

— თქვენი ამ პრინციპული პროტესტით ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ერთმანეთი. გარწმუნებთ, ეს შესაძლებელია და ეს სოციალური სამართლიანობისთვის ჩვენი ერთობლივი ბრძოლის ერთ-ერთი პრინციპული და ღონიერი ნაბიჯია. ეს ჩვენი გაღატაკებული მოსახლეობის მხარდაჭერისა და სოციალური თანასწორობისკენ მიმართული საერთო სოლიდარობა იქნება, — აღნიშნა ბოლოს ნესტან კირთაძემ.

# ერთი კილოგრამი ყურძნის ფასი 40 თეთრი იქნება



კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ღვინის ქარხნები წელს რქაწითელის ჯიშისყურძენს 25 თეთრად ჩაიბარებენ, რომელსაც სახელმწიფო სუბსიდიიდან 15 თეთრი დაემატება.

როგორც ღვინის ქარხნების დირექტორებმა აღნიშნეს, საფერავის ჯიშის ყურძნის ფასი 60 თეთრი იქნება. აქედან 35 თეთრს ღვინის ქარხანა გადაიხდის, 25 თეთრს სახელმწიფო.

რთველი 25 აგვისტოს დაიწყება და 7-8 კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის თქმით, ყურძენს 27 კომპანია 32 ღვინის ქარხანაში ჩაიბარებს. წინასწარი მონაცემებით, წელს რეგიონში სულ 113 506 ტონა ყურძნის მოსავალია მოსალოდნელი. აქედან 82 179 ტონა რქაწითელია, 26 236,5 ტონა საფერავი და 5 090,5 ტონა სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, მათ შორის ჰიბრიდული.

გასულ წელს ღვინის ქარხნებმა ერთი კილოგრამი საფერავის ჯიშის ყურძენი 40 თეთრად ჩაიბარეს და სუბსიდიის სახით დამატებით 25 თეთრი გაიცემოდა. რქაწითელში 30 თეთრს ღვინის ქარხანა იხდიდა, 15 თეთრი სუბსიდიიდან გაიცემოდა. გასულ წელს, რამდენიმე დღის განმავლობაში, რქაწითელის ჯიშის ყურძნის ჩასაბარებელი ფასი 45 - დან 80 თეთრამდეც გაიზარდა.

**მედიანიუსი**

# გია ცაგარეიშვილი: „ექვსიანის“ კონკურენტი მხოლოდ ხელისუფლება იქნება“

ნანა მიშელაშვილი

**დაიწყო თუ არა „ექვსიანმა" საარჩევნო სიებზე მუშაობა და რა ამბიციების დათმობა მოუწევთ პოლიტიკურ ლიდერებს, ამის შესახებ დეპუტატი გია ცაგარეიშვილი „ახალ თაობას" ესაუბრა.**



***— პოლიტიკური შემოდგომა აქტიური იქნება. ალბათ, საარჩევნო სიებზეც დაიწყება მუშაობა. ოპოზიციურ „ექვსიანში“ ეს საკითხი გადაწყვეტილია?***

— სიებთან დაკავშირებული საკითხი, გადაწყვეტილი არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ არ ვიცით, როდის დაინიშნება არჩევნები, ეს იქნება 2012 წლის გაზაფხული თუ შემოდგომა. ჩვენ არ ვიცით არჩევნების თარიღი, ჩვენ არ ვიცით, ზოგადად თუ რა სისტემით ჩატარდება არჩევნები.

***— კონსტიტუციაში ხომ წერია, რომ არჩევნები 2012 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს?***

— კი, ეს ნამდვილად ჩაწერეს, მაგრამ კონსტიტუციაში ისიც წერია, რომ ამ მოწვევის პარლამენტს ვადა 2012 წლის მაისში გასდის. კონკრეტულად ის წერია, რომ პარლამენტი ირჩევა 4 წლის ვადით და ამ მოწვევის პარლამენტს ვადა 2012 წლის ივნისის დასაწყისში გასდის, რადგან 2008 წლის ივნისში მოხდა ამ პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა. ამიტომაც ჩვენ არ ვიცით, როდის ჩატარდება არჩევნები და არც ის ვიცით, რა სისტემით ჩატარდება ეს არჩევნები, თანაც არავინ იცის, არც ხელისუფლებამ და არც ჩვენ. აქედან გამომდინარე, დღეს სიებზე საუბარი ძალიან არასერიოზულია.

***— საუბრობენ, რომ საარჩევნო სიებთან დაკავშირებით „ექვსიანის“ ლიდერებს შორის უთანხმოებაა. ეს მართალია?***

— არა! სიებთან დაკავშირებით „ექვსიანში“ არავითარი უთანხმოება არ არის.

***— ამ საკითხზე საუბარიც არ ყოფილა?***

— სიებზე საუბარი ჯერ არ დაწყებულა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ერთიან საარჩევნო ბლოკადაც არ ჩამოვყალიბებულვართ.

***— როდის გადაწყვეტთ ბლოკად ჩამოყალიბებას?***

— ჩემი პირადი მოსაზრებაა და ვისურვებდი, რაც შეიძლება სწრაფად ჩამოვყალიბებულიყავით და ეს დრო, რომელიც არჩევნებამდეა დარჩენილი, ძალიან ნაყოფიერად გამოგვეყენებინა.

***— როგორ ფიქრობთ, „ექვსიანი“ საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბდება თუ თავისუფალი დემოკრატები ცალკე გახვალთ არჩევნებში?***

— ერთი თვის წინ ჩამოყალიბდა კოალიცია „თავისუფალი არჩევანისთვის“, სადაც გაერთიანდა ექვსი პარტია. ჯერჯერობით ჩვენ ჩვენს პარტნიორებთან ამ კოალიციურ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენ გარდა ამ კოალიციაში კიდევ ხუთი პოლიტიკური ორგანიზაციაა გაერთიანებული და ეს რაში გადაიზრდება, ნამდვილად ვერ გეტყვით. ეს ყველაფერი დამოკიდებულია მოლაპარაკებებზე.

***— ეს ამ შემოდგომაზე გადაწყდება?***

— შემოდგომაზე უნდა გადაწყდეს.

***— „ექვსიანი“ ერთად იქნებით თუ ცალ-ცალკე?***

— ვიქნებით ერთად თუ ცალ-ცალკე, ეს განსახილველი საკითხებია. მე ვფიქრობ, სექტემბერ-ოქტომბერი ამას დასჭირდება და სადღაც შემოდგომის დასასრულს ჩვენ შეგვეძლება, უკვე ვისაუბროთ მომავალ გაერთიანებაზე, თუკი ის საერთოდ შედგა. ეს არის დღევანდელი მოცემულობა. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ ჯერჯერობით არავითარ სიებზე საუბარი არ არის. შესაძლოა, ამ სიების რაღაც კომბინაციები პოლიტიკურ ლიდერებს გააჩნიათ საკუთარ თავებში, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ სიებზე არ გვისაუბრია, იქიდან გამომდინარე, რომ ფუნდამენტური საკითხები გადაწყვეტილი არ არის.

***— რას თვლით ფუნდამენტურ საკითხებად?***

— ფუნდამენტური არის ის საკითხები, რომელთა გარშემოც ჩვენ ვერთიანდებით. როდესაც ჩვენ ამაზე ჩამოვყალიბდებით და გადავწყვეტთ, რომ ვერთიანდებით ფუნდამენტური ფასეულობების გარშემო. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, იქნება სიებზეც საუბარი და იქნება საუბარი სხვა საკითხებზეც.

***— „ექვსიანს“ ერთიანი სიის შედგენა იმ თვალსაზრისითაც გაუჭირდება, რომ საკმაოდ ბევრი ლიდერია და თითოეულ პარტიაში ბევრი ადამიანი ჰყავთ სიაში შესაყვანი. ამიტომ ერთიანი სიის შედგენისას ბევრი ადამიანის ამბიცია ვერ დაკმაყოფილდება. ეს ხომ არ შეგიშლით ხელს იმაში, რომ „ექვსიანი“ ერთ ბლოკად ჩამოყალიბდეს?***

— „ექვსიანში“ არიან ის პოლიტიკური ძალები და ლიდერები, რომლებმაც საზოგადოებას ძალიან ბევრჯერ მისცეს მაგალითი იმისა, რომ შეიძლება ვიწროპარტიული ინტერესები გვერდზე გადადო და საზოგადოებას მაგალითი მისცე.

***— მაგალითად, ვინ?***

— მაგალითად, ირაკლი ალასანია, რომელმაც მაგალითი მისცა, თუ თავისუფალი დემოკრატები როგორ ვთმობდით პარტიულ ინტერესებს თუნდაც ადგილობრივი არჩევნების დროს სიების დაკომპლექტებისას.

***— მაგრამ ეს იყო ადგილობრივი არჩევნების დროს. ეს საპარლამენტო არჩევნებისგან ხომ განსხვავდება?***

— არა, ამაში ვერ დაგეთანხმებით, რადგან ეს იყო არჩევნები, რითაც ირაკლი ალასანია აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიოდა და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

***— ადგილობრივი არჩევნები ხომ შედარებით დაბალი რანგია, ვიდრე საპარლამენტო?***

— გეთანხმებით, მაგრამ გითხარით, რომ ამას ალასანიასთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეორე მაგალითი, სადაც არა ირაკლი ალასანიამ, არამედ სხვა ლიდერებმა დათმეს. ეს იყო გაერთიანებული ოპოზიციის მაგალითი, როდესაც ეროვნულმა ფორუმმა ძალიან ბევრი ასეთი ნაბიჯი გადადგა. კახა შარტავა პარტიის ლიდერი იყო და გაერთიანებული ოპოზიციის სიაში სად ჩაეწერა? რომელ ნომრად ჩაეწერა ეროვნული ფორუმი პარტიულ ჩამონათვალში? ზოგი ვაიპოზიციონერი რიგითობაზე თავს რომ იკლავდა, ეროვნული ფორუმი მეცხრე ნომრად ჩაეწერა. ამიტომ მივბაძოთ კოლეგებს.

***— ეროვნული ფორუმის გარდა, იქ არიან სხვა ლიდერებიც, რომლებსაც ამბიცია ექნებათ, რომ პარლამენტში იყვნენ.***

— ეს არის სრულიად ჯანმრთელი ამბიცია და ჩვენ ამას ვერ გავექცევით.

***— თუმცა, ამის გამო გაერთიანებები იშლება ხოლმე?***

— ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის ჩვენთვის დიდი გამოწვევა. მაგრამ ჩვენ ამ გამოწვევებს გადავლახავთ. გადავლახავთ ამ ცდუნებებს და არ მივანიჭებთ ხელისუფლებას იმ სიამოვნებას, რომ კიდევ ერთხელ შემოჰკრას ტაში, როდესაც იხილავს დაშლილ ოპოზიციას.

***— ექსპერტები უკვე ვარაუდობენ, რომ არჩევნებში „ექვსიანი“ ამ სახით ვერ გამოვა. ამაზე რას იტყვით?***

— ექსპერტები იმისთვის არიან, რომ ვარაუდები გამოთქვან.

***— მათი პოლიტიკური პროგნოზები ხომ მართლდება?***

— არა, ხშირად არ მართლდება. მართლდება 10% და 90% ხშირად არის ჰაერი და თითიდან გამოწოვილი. მაგრამ ეს მათი საქმეა და ამის გამო მე მათ არც ვაქებ და არც ვაძაგებ. ერთ რამეს ვიტყვი: ხშირად ამბობენ, რომ ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა და ამის თქმა არ მიყვარს. მაგრამ ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ეს არჩევნები ნამდვილად იქნება გადამწყვეტი ბრძოლა. თუკი მობილიზებულნი არ ვიქნებით, ხელისუფლება ამ არჩევნებსაც თავისთვის წარმატებულად ჩაიტარებს და ეს იქნება ბოლო ლურსმანი, საქართველოს კუბოში ჩაჭედებული. ან ჩვენ დავიწყებთ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის დემონტაჟს, ან ვიქნებით სააკაშვილის ზეობის არქიტექტორები. მე კი ეს ნამდვილად არ მინდა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველამ უნდა გადავდოთ გვერდზე ვიწრო პარტიული ინტერესები და საერთო ინტერესის გარშემო გავერთიანდეთ.

***— თუკი „ექვსიანი“ ერთად გამოვიდა, ამ გაერთიანების ლიდერი, ბუნებრივია, იქნება ირაკლი ალასანია და ის იქნება სიის პირველი ნომერი?***

— ეს „ექვსიანის“ გადასაწყვეტია.

***— თუ „ექვსიანი“ ერთიანი ბლოკით გამოვა, თქვენი ერთ-ერთი კონკურენტი ოპოზიციიდან იქნებიან ქრისტიან-დემოკრატები. ისინი კი თქვენ კონკურენტებად არ მიგიჩნევენ, რადგან პირად საუბრებში ამბობენ, რომ მათ თქვენზე გაცილებით დიდი რეიტინგი აქვთ. რას იტყვით ამაზე?***

— ვეთანხმები, ირაკლი ალასანია და მისი პარტნიორები იქნებიან ხელისუფლების კონკურენტები.

***— მე იმას გეკითხებით, ოპოზიციიდან იქნებით თუ არა ქრისტიან-დემოკრატების კონკურენტები?***

— რა გითხრათ? თქვენ იცით ჩემი შეხედულება ე.წ. უმცირესობაზე. მომავალ არჩევნებზე იქნება ხელისუფლება და იქნება გაერთიანება, რომელიც ძალიან მალე შეიქმნება.

***— „ექვსიანს“ გულისხმობთ?***

— რატომაც არა.

***— ქრისტიან-დემოკრატები არ არიან სერიოზული მოთამაშეები ამ პოლიტიკურ ბრძოლაში?***

— მე ვისურვებდი ორპოლუსიან არჩევნებს, სადაც იქნება ორი ძალა — ოპოზიცია და ხელისუფლება. დანარჩენები რა როლს შეასრულებენ, ეს მათი გადასაწყვეტია. თუ ისინი წყვეტენ თავიანთ ბედს, მე ამაშიც ეჭვი მეპარება და არ ეკითხებიან ხელისუფლებას. ამიტომაც ეს მათი გადასაწყვეტია ხელისუფლებასთან ერთად. ამიტომ, თუ ისინი ამბობენ, რომ ჩვენ მათი კონკურენტები არა ვართ, ამაში ვეთანხმები. ჩვენ მათი კი არა, ხელისუფლების კონკურენტები ვართ.

***— ისინი ამბობენ, რომ ახლა მიდის ბრძოლა იმაზე, თუ ოპოზიციაში ვინ იქნება პირველი და არა იმაზე, რომ ხელისუფლება დაამარცხოთ.***

— მე არ მაინტერესებს მათი აზრი ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე. ისინი ჩემთვის მეტრები არ არიან.

***— არ მიდის ოპოზიციაში ბრძოლა იმისთვის, თუ ვინ იქნება ოპოზიციაში პირველი?***

— შეიძლება მიდის, შეიძლება არ მიდის, ეს საზოგადოებამ უნდა შეაფასოს. ჩემთვის თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე ირაკლი ალასანია არის უპირობო ლიდერი და, შესაძლოა, იმ გაერთიანებისაც, რომელიც მომავალში უნდა შეიქმნას. მაგრამ, კიდევ ერთხელ გეუბნებით, მე არ მინდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო ჩვენი მომავალი პარტნიორები, რომლებიც ჩვენთან ურთიერთობას ფიქრობენ. მე იმასაც ვამჩნევ, რომ უამრავი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ვილაცისთვის მიღწევაა პარლამენტში ფრაქციის შექმნა, ვილაცისთვის მიღწევა იქნება ამ ქვეყნის სააკაშვილის კლანჭებიდან გამოხსნა და ამ რეჟიმის შეცვლა. საერთოდ, ოპოზიცია იყოფა ორ ნაწილად — ოპოზიცია, რომელიც იბრძვის და ოპოზიცია, რომელიც ბრძოლის იმიტაციას ახდენს. ეს არის ტრაგიკული რეალობა და, სხვათა შორის, ასე იყო ყოველთვის, დაწყებული ზვიად გამსახურდიას დროიდან.

***— ვინ ახდენს ბრძოლის იმიტაციას?***

— ბრძოლის იმიტაციას ახდენს, რა თქმა უნდა, სრულიად უმცირესობა, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი და ამ უმცირესობაში შემავალი ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურა თუ პარტია და უამრავი კიდევ ე.წ. ოპოზიციური პარტია, რომელიც პარლამენტის მიღმაა.

## გიორგი ტუღუში: პატიმართა სიკვდილიანობამ იმატა



სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა სიკვდილიანობამ 2011 წელსაც იმატა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გიორგი ტუღუშმა განუცხადა, 2011 წლის პირველ კვარტალში 38-მდე გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა, რაც 2010 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მაღალია. მისივე ინფორმაციით, 2010 წლის პირველ კვარტალში 26 გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა.

გიორგი ტუღუშის განცხადებით, პატიმართა გარდაცვალების ფაქტების გაზრდა პატიმართა რიცხვის ზრდის პროპორციას არ უკავშირდება. მისი თქმით, პატიმართა რიცხვი 2011 წელს 2010 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ არის გაზრდილი.

**ინტერპრესნიუსი**

## ნინო ბურჯანაძის ერთ-ერთ მძღოლს 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის ერთ-ერთ მძღოლს შაქრია ზურაშვილს დღეს, თბილისის საქალაქო სასამართლომ 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, ზურაშვილს ბრალად ედებოდა სს კოდექსის 358-ე მუხლის მეორე ნაწილით და 117-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. სასჯელთა შეკრების შედეგად, მას 12-წლიანი პატიმრობა შეეფარდა.

საქმე ეხება 26 მაისის ღამეს რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს. შსს-ს მტკიცებით, ბურჯანაძის ესკორტი გადაადგილების დროს დაეჯახა სამართალდამცავს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. აღნიშნული ინციდენტის დროს დაკავებულ დანარჩენ ოთხ პირს თავისუფლების 3-4 წლით აღკვეთა მიუსაჯეს, კიდევ ერთი მძღოლის პროცესი კი მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

## ნიუ იორკში „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერა გაიმართა

ნიუ იორკში, „ლენდმარკის“ კინოთეატრში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე გადაღებული ფილმის „აგვისტოს 5 დღე“ პრემიერა გაიმართა. ფილმის ჩვენებას რეჟისორ რენი ჰარლენთან ერთად ენდი გარსია, უელ კილმერი და ჰოლივუდის სხვა მსახიობები ესწრებოდნენ. ფილმის ამერიკულ პრემიერას ქართველი პროდუსერები და ქართული დიასპორის წევრებიც დაესწრნენ.




„აგვისტოს 5 დღის“ პრემიერა საქართველოში 5 ივნისს გაიმართა.

**მედიანიუსი**

# კახა კუკავა: „გარდაცვლილ მამუკა ზერეკიძეს თავზე ტრავმა აღენიშნება“

## „პატიმრებს ციხეში „მიშა მაგარიას“ ამღერებენ“

შორენა კოწოწაშვილი

**„თავისუფალი საქართველო“ ციხეებში შექმნილ ვითარებას ნაცისტური რეჟიმის ადარებს და მინისტრ კალმახელიძის პასუხისმგებლობას აყენებს.**

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავას განცხადებით, პატიმარი მამუკა ზერეკიძე, რომელიც მე-6 დაწესებულებაში სასჯელს ნარკოტიკებისთვის იხდიდა, მოკლულია.

როგორც გუშინ, 17 აგვისტოს, გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, გარდაცვლილს თავის არეში ტრავმული დაზიანებები აღენიშნება.

— ოფიციალური ვერსიით, მამუკა ზერეკიძის დაღუპვა უბედურ შემთხვევას უკავშირდება, თითქოს მას ყავის მადუღარამ დენი დაარტყა. არაოფიციალური ინფორმაციით კი ცნობილია, რომ გარდაცვლილს თავის არეში ტრავმული დაზიანებები აღენიშნება, — აცხადებენ „თავისუფალ საქართველოში“.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ბოლო წლებში საქართველოს ციხეებში ათეულობით ადამიანი გარდაიცვალა საეჭვო ვითარებაში და აქედან არცერთი გარდაცვლილის საქმის გამოძიება არ მიმდინარეობს.

ოპოზიციური პარტიის ლიდერი ითხოვს, დაუყოვნებლივ შეწყდეს მკვლელობების სერია ქართულ ციხეებში და დროულად იქნას გამოძიებული ზერეკიძის გარდაცვალების გარემოებები.

პრესკონფერენციის შემდეგ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ **კახა კუკავას** რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***— ბატონო კახა, როგორ აფასებთ ციხეებში დღეს არსებულ ვითარებას? ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროსტანდარტების პენიტენციალური სისტემა შექმნა ქვეყანაში და ქართული ციხეების მოდელი უკვე სხვა ქვეყნებისთვის არის მისაბაძი.***

— ეს, რაც ბოლოს ბრძანეთ, რა თქმა უნდა, სასაცილოა და ამას სააკაშვილის, მისი ვერა ქობალიას და კალმახელიძის გარდა, სერიოზულად არავინ აღიქვამს. რეალურად დღეს საქართველოს ციხეებში არის წამების ინდუსტრია შექმნილი. ციხეებში მიმდინარეობს პატიმრების მასობრივი ცემა, წამება, გაუპატიურების ფაქტები არის დაფიქსირებული, და რაც ყველაზე უფრო საშინელია, ფსიქოლოგიური ზეწოლის უფრო და უფრო თანამედროვე მეთოდები ინერგება. ეს სისტემები შეშურდებოდათ 30-იანი წლების კაგებეს ან ფაშისტური გერმანიის შესაბამის უწყებებსაც, რომლებიც ასევე დაკავებული იყვნენ წამების ინდუსტრიით. ჩვენ ბოლო ერთი წლის მანძილზე გვაქვს ათეულობით პატიმრის შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც სიცოცხლე ძალადობრივი სიკვდილით დაასრულეს. არის მამაკაცების გაუპატიურების კონკრეტული ფაქტები, რომლებზეც პატიმრები მიუთითებენ. პატიმარმა არქანიამ გააკეთა ამაზე განცხადება და სახალხო დამცველთან დაიწყო ამ თემაზე მოკვლევა. არის ფსიქოლოგიური ზეწოლის არანორმალური ტექნოლოგიები დანერგილი. ცოტნე გამსახურდიას პროცესზე იქნა გაჟღერებული ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია — როგორ მიმდინარეობს, როგორ ასმენინებენ პატიმრებს ერთმანეთის ყვირილს და წამებას. ამის შესახებ აბდალაძეც მიუთითებდა. აქ ევროპული კი არა, საბჭოთა სტანდარტებიც სანატრელი გახდა. მაშინ რაიმე განსაკუთრებული სისასტიკე ციხეებში არ ხდებოდა. უფრო უწესრიგობა და გადატვირთულობა იყო. ახლა კი არის მოწესრიგებული სისასტიკე. ის, რაც ზერეკიძის შემთხვევაში მოხდა, როდესაც ახალგაზრდა ჯანღონით სავსე მამაკაცს უცებ თურმე დენმა დაარტყა და სახლში როდესაც მიიყვანეს, თავზე ტრავმული დაზიანებები აღმოაჩნდა.

***— ანუ ციხეში მოხვედრა სიცოცხლის ხელყოფის კუთხით საფრთხისშემცველია?***

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებით ზოგიერთი დაწესებულებები არის გამორჩეული. მაგალითად, გლდანის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება, სადაც დილიდან საღამომდე ყველა პატიმარი უნდა იცემოს. მთელი სართულებით ხდება პატიმრების ცემა. ამას ისინი ეძახიან პრევენციულ დამუშავებას. მთელ სართულს რომ სცემენ, მერე უკვე თვითონ პატიმრები არიან დაინტერესებული, რომ რომელიმე პატიმარმა რაიმე არალოიალური აზრი არ გამოხატოს ადმინისტრაციის მიმართ. დაფიქსირებული იყო ერთ-ერთ ციხეში ისეთი ფაქტი, რომ ერთ-ერთ პატიმარს აიძულებდნენ ემღერათ, „მიშა მაგარია“. აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ პატიმარი რაიმე შინაგანაწესს არღვევს და ამის შემდეგ ხდება კონფლიქტი ადმინისტრაციასთან. არა. უბრალოდ, არალოიალურია არსებული რეჟიმის მიმართ. ეს საკმარისია იმისთვის, რომ პატიმარი ცემაში მოკლან. ზერეკიძეც ცემაშია მოკლული. უბრალოდ, იმის გამო, რომ, როგორც ჩანს, ენა არ მიჰქონდა ციხის უფროსთან.

***— კალმახელიძე ამტკიცებს, პატიმრები ბუნებრივად იღუპებიანო. რამდენად საგანგაშოა გარდაცვლილთა სტატისტიკა?***

— ამის შესახებ ნამდვილად გვაქვს ინფორმაცია. ციხეში 30-40 წლის ადამიანები, რომლებიც დაპატიმრებამდე ჯანმრთელობას არ უჩიოდნენ, შემდგომში იღუპებიან უეცრად ამ, როგორც კალმახელიძე ამბობს, „ბუნებრივი სიკვდილით“. გარდა ამისა, ჩვენ მოვითხოვთ, ჩატარდეს გამოძიება თითოეულ საქმეზე. თუ მართლა ბუნებრივი სიკვდილით იღუპებიან, რატომ ასაიდუმლოებენ? ჩართონ არასამთავრობოები, ოპოზიცია და სამედიცინო ექსპერტები. ეს რომ მართლაც ბუნებრივი სიკვდილი იყოს, პირიქით, კალმახელიძის სამინისტრო მოიწვევდა ყველა დაინტერესებულ მხარეს და ძალიან გამჭვირვალედ ჩაატარებდა ექსპერტიზებსაც და გამოძიებასაც. ყველა პატიმარი, რომელზეც თავის დროზე განცხადებები იყო გაკეთებული, არის მოკლული ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ. ბევრ ყოფილ პატიმართან მაქვს შეხვედრა და არანორმალურ სისასტიკეს აქვს ადგილი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ხდება პირდაპირ პატიმრების თვალწინ გამოყვანა და ცემა იქამდე, სანამ პატიმარი უნარს არ დაკარგავს, რომ საერთოდ თავი წამოწიოს.



***— ეს სისასტიკე ხათუნა კალმახელიძის სტანდარტია?***

— ეს არის სააკაშვილის სტანდარტი, რომ ციხეში უნდა იყოს ადამიანების წამება. თუმცა, მინისტრების პიროვნებებიდან გამომდინარე, არის ხოლმე გარკვეული ლოიალური და შედარებით მკაცრი მიდგომები. გია ქავთარაძის და დიმა შაშკინის დროს არ იყო ციხეებში ასეთი სისასტიკე. ახლა ეს არის წახალისებული. თანამედროვე ევა ბრაუნი არის დანიშნული სასჯელაღსრულების მინისტრად, რომელიც პირდაპირ ადამიანურ სიამოვნებას იღებს პატიმრების წამების შედეგად. სასჯელაღსრულების მინისტრად ჰუმანური და უფლებადამცველი პიროვნება უნდა იყოს დანიშნული და არა — უზნეო ადამიანი, რომელიც სადისტური ვნებებით არის გაჟღენთილი.

# ეკა ბესელია: 150 პატიმარი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა

შორენა კოწოწაშვილი

საქართველოს ციხეებში შექმნილ უმძიმეს ვითარებასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გაკეთდა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს განცხადებები და შენიშვნები სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ნაკლებად საინტერესოა.

იმის მიუხედავად, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერაც გამოითქვა ამ მხრივ სერიოზული უკმაყოფილება, ფაქტია, კალმახელიძის უწყებაში სისასტიკისა და არაადამიანური მოპყრობის ფორმები თანდათან უფრო იხვეწება. პატიმართა გარდაცვალების ფაქტები კი საგანგაშო ნიშნულზეა, რასაც თავად მინისტრი ხათუნა კალმახელიძე ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს.

გუშინ არასამთავრობო და უფლებადაცვითი ორგანიზაციების მხრიდან პატიმარ მამუკა ზერეკიძის გარდაცვალების ფაქტი იქნა გახმაურებული.

შეგახსენებთ, მამუკა ზერეკიძე გახლავთ გიორგი ზერეკიძის მამა, რომელიც არასრულწლოვანი იქნა პასუხისგებაში მიცემული და რომელსაც სასამართლომ 14-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. ზერეკიძის განაჩენი სამოქალაქო და პოლიტიკური სპექტრის ფართო განხილვის საგანი გახდა. საბოლოოდ მეორე ინსტანციის სასამართლომ მოსამართლე მაია ივანიძის თავმჯდომარეობით ზერეკიძეს პატიმრობის ვადა 8 წლამდე შეუმცირა.

მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია გუშინვე გამოეხმაურა პატიმარ მამუკა ზერეკიძის გარდაცვალების ფაქტს და განცხადება გაავრცელა.



უფლებადამცველი ეკა ბესელია ციხეებში შექმნილი უმძიმესი და საგანგაშო ვითარების გამო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრ ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

— გაურკვეველ ვითარებაში უკვე მერამდენე პატიმარი გარდაიცვალა, რაც გარდაცვლილთა სიცოცხლის ხელყოფაში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მონაწილეობის თაობაზე საფუძვლიან და მრავალ ეჭვს გვიტოვებს. ეს ეჭვები მით უფრო ძლიერდება, როდესაც არაერთი გარდაცვლილი პატიმრის საქმეზე გამოძიების შედეგებს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობასა და მინისტრს საზოგადოებისთვის არ უცნობებია. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარი პროკურატურისთვის დღეს ციხეები და განსაკუთრებით კი გლდანის მე-8 საპყრობილე წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საწვრთნელ პოლიგონად გადაიქცა. ამას კი ხელს მინისტრი ხათუნა კალმახელიძე უწყობს. იმ დანაშაულებრივი ქმედებების გამო, რომლებსაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აქვს ადგილი, მინისტრ კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხს კიდევ ერთხელ ვაყენებთ. მოვითხოვთ, ჩატარდეს ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება და დამნაშავე პირები დაისაჯონ! — განაცხადა ეკა ბესელიამ.

მისივე ინფორმაციით, 2010 წლიდან საპატიმრო დაწესებულებებში გაურკვეველ მდგომარეობაში 150-ზე მეტი პატიმარი გარდაიცვალა.

განცხადებაში ეკა ბესელია საერთაშორისო ორგანიზაციებისადმიც აკეთებს მიმართვას და საქართველოს ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე ადეკვატური და შეუვალი რეაგირებისაკენ მოუწოდებს.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

# ფრანც ბეკენბაუერი: პელე მოედანზეც ჯენტლმენი იყო და მის ფარგლებს გარეთაც



**რუსულ „სპორტ ექსპრესში“ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელ ფრანც ბეკენბაუერთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც კაიზერი საინტერესოდ და დეტალურად საუბრობს.**

***— რომელი დღე იყო თქვენს კარიერაში ყველაზე ბედნიერი, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატი კაპიტნის რანგში მოიგეთ, მწვრთნელის თუ რამე სხვა ღირსშესანიშნავი თარიღიც გაქვთ?***

— ჩემთვის ყველაზე ბედნიერი იყო დღე, როცა გერმანიამ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვა. როგორც ფეხბურთელს, გაქვს შანსი, რომ ჩემპიონატი ყოველ ოთხ წელიწადში მოიგო. შინ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი კი ცხოვრებაში ერთხელ ხდება.

***— იყო თუ არა თქვენთვის სიურპრიზი რუსეთისა და ყატარის მიერ 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობის მოგება?***

— რუსეთის მოგება არ გამკვირვებია. სხვა ევროპელი კანდიდატებიც ძლიერები იყვნენ, მაგალითად, ინგლისი, მაგრამ ის მისმა პრესამ დაღუპა, რადგან ჟურნალისტები ფიფას აღმასკომის წევრებს ბრალდებებს უყენებდნენ. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მესმის, რატომ აღარ მისცეს ხმა ამ ქვეყანას. ყატართან დაკავშირებით ცოტა სხვა სიტუაციაა. ჩემპიონატს პატარა და თანაც არასაფეხბურთო ქვეყანა უმასპინძლებს. ამ ქვეყანაში ზაფხულზე საშინელი სიცხეებია. ვინ გაუძლებს 40-50 გრადუსს, ძნელი წარმოსადგენია. პირობა დადეს, რომ მინდვრებსა და ტრიბუნებზე ტემპერატურის დასაგდებად ყველაფერს გააკეთებენ. მათ ამისთვის ფულიც აქვთ და ტექნოლოგიებიც. ამასთან, მათ წინ კიდევ 11 წელი აქვთ და ამ პერიოდში ბევრი რამის სრულყოფა შეიძლება.

***— მაისში ფიფას აღმასკომი დატოვეთ, არადა, ზეპ ბლატერის ყველაზე რეალურ შემცვლელად მიგიჩნევდნენ. ეს ყველაფერი ციურიხში გამართული კენჭისყრის გამო ხომ არ მოხდა?***

— არა. ეს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მქონდა გადაწყვეტილი. ფიფას პრეზიდენტობას კი არასოდეს ვგეგმავდი. მე პატარა ბავშვების მოხუცი მამა ვარ და ჩემი უმთავრესი პრიორიტეტი ამჟამად ოჯახია. გასულ წელს მთელი ორთვე-ნახევარი გავატარე მოგზაურობაში. ეს ყველაფერი უეფასა და ფიფას საქმეების გამო. მეც ამევსო მოთმინების ფიალა და ეს ბოლო წვეთი იყო. ჩემს თავს ვუთხარი: კმარა! მალე 66 წლის ვხდები და 100 წლამდე ხომ ვერ ვიქნები დაკავებული ამ საქმეებით? ყველა თანამდებობაზე უარი ვთქვი, ჯერ „ბაიერნის“ პრეზიდენტობაზე, შემდეგ ფიფას აღმასკომის წევრობაზეც. ამის მიუხედავად მაინც ბევრი საქმე მაქვს.

***— ბავშვობაში თუ გქონდათ ამბიცია, რომ ფეხბურთის ვარსკვლავი გამოსულიყავით?***

— მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ორიოდე თვეში დავიბადე, მაშინ, როცა მთელი ქვეყანა ნანგრევებად იყო ქცეული. მაშინ იყო განცდა, რომ მომავალი არავის ჰქონდა. ყველაფერი მარტივად იყო: პატარაობისას წარმატებებზე კი არ ვფიქრობდი, უბრალოდ, მოძრაობა მიყვარდა. თამაში და მინდორში სირბილი მიზიდავდა. სულ ეს იყო ჩემი მოტივაცია. ომის შემდგომ გერმანიაში ერთადერთი ფეხბურთი იყო, რასაც თამაშობდნენ. რომელ ჩოგბურთსა და გოლფზე ლაპარაკობთ? მხოლოდ ფეხბურთი.

***— მშობლები თუ უჭერდნენ მხარს პროფესიულ არჩევანს?***

— დედა არ მიშლიდა, მამაჩემი კი ფოსტის უბრალო მუშაკი წყნარი და ძალიან არასპორტული ადამიანი იყო. პროფესიული ფეხბურთი მაშინ არ არსებობდა, რადგან ქვეყანას სხვა პრობლემებიც თავზე საყრელად ჰქონდა. მარტო ნანგრევების გასუფთავებას მთელი ქვეყანა რამდენიმე წელიწადი მოუნდა. სიტუაცია მხოლოდ 50-იანებში შეიცვალა. სკოლის შემდეგ სადაზღვევო საქმეს ვსწავლობდი და ფეხბურთს ვთამაშობდი. სწორედ ამ დროს, 1963 წელს „ბაიერნმა“ კონტრაქტი შემომთავაზა. ბუნდესლიგა სწორედ ამ წელს დაარსდა, მაგრამ არავინ იცოდა, რამე თუ გამოვიდოდა ამ საქმიდან. რთული არჩევნის წინაშე ვიდექი. ბოლოს მაინც „ბაიერნი“ ვარჩიე. 65-ში უმაღლეს ლიგაში გადავედით. ამ წელსვე შვედებთან ჩავატარე პირველი თამაში ბუნდესგუნდში. 1966-ში კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გავხდი.

***— ერთადერთი გერმანული ოქრო, რომელთანაც უშუალო შეხება არ გქონიათ, გერმანიამ 1954-ში მოიპოვა. ამ წარმატებამ იქონია თუ არა გავლენა საზოგადოების ზოგად განწყობაზე?***

— მიმაჩნია, რომ ეს იყო ყველაზე დიდი წარმატება გერმანული სპორტის ისტორიაში. ომის შემდეგ ჩვენს ქვეყანას არ იმჩნევდნენ, ის სხვებისგან გარიყული იყო. მსოფლიოს მოგება კი პირველი დადებითი სიგნალი იყო. ის წარმოუდგენლად მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან ხალხმა საკუთარი თავის ირწმუნა, მიხვდა, რომ რაღაცის კეთება კიდევ შეეძლო.

***— თქვენი მეტსახელია კაიზერი, საიდან გაჩნდა ის?***

— ეს 60-იანების ბოლოს მოხდა. ვენაში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ვიყავით. ჩვენი სასტუმროს წინ ავსტრიის კაიზერის ფრანც იოზეფის ძეგლი იდგა. ერთ-ერთმა ფოტოჟურნალისტმა ძეგლთან ფოტოს გადაღება შემომთავაზა. მეორე დღეს კი დაბეჭდა ეს ფოტო და ჟურნალებსა და გაზეთებს გაუგზავნა. ასე შემარქვეს კაიზერი.

***— მოგწონდათ ეს სახელი?***

— და ვის აინტერესებდა, მომწონდა თუ არა? არჩევანი არც მე მქონდა. ასე მხოლოდ ჟურნალისტები მომმართავდნენ, ფეხბურთელებისთვის ყოველთვის ფრანცად ვრჩებოდი...

***— საფეხბურთო ექსპერტებისთვის კი — თავისუფალი მცველის პოზიციაზე მოთამაშე რევოლუციონერად.***

— ეს ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია იყო, ჩემი ხედვა. ბავშვობაში თავდამსხმელად ვიწყებდი თამაშს. ერთ დღესაც მწვრთნელმა მითხრა — შენ დაცვაში ითამაშებ. მაშინ მცველები მხოლოდ თავს იცავდნენ, თავდამსხმელები უტევდნენ, ჩემი სტილი კი ყველასთვის სიურპრიზი იყო.

***— გული არ გწყდებათ, რომ პოზიცია, რომელზეც ასპარეზობდით, თანამედროვე ფეხბურთმა მოკლა?***

— რას იზამ, დრო იცვლება. ახლა მოდაშია ფეხბურთი „ბარსას“ სტილში, პასი ერთი შეხებით. 60-იანებში კი ბურთის მიღებისთანავე ვცდილობდით წინ წინსვლას. 70-იანებში ჰოლანდიელებმა ტოტალური ფეხბურთი შემოგვთავაზეს, რომლის მიბაძვა ყველამ მოინდომა, მაგრამ როგორ გინდოდა კრუიფისა და ნეესკენსის სტილის კოპირება? ყველა სქემას საჭირო ფეხბურთელები სჭირდება.

***— ფეხბურთელები ახლა ფინანსებს სხვანაირად უდგებიან, ვიდრე ეს თქვენს დროს ხდებოდა ხოლმე?***

— რთული შეკითხვაა. მარკეტინგული თვალსაზრისით ფეხბურთი ახლა სულ სხვა რამაა. მაშინ არ იყო ტელერეპორტაჟები, არ იყვნენ სპონსორები, არ იყო რეკლამა. მიმაჩნია, რომ ფეხბურთელები საფეხბურთო სამყაროს მთავარი მოქმედი პირები არიან და იმსახურებენ თავიანთ წილს.

***— საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ თქვენ პელესა და კრუიფის შემდეგ ყველა დროის მესამე ფეხბურთელად დაგასახელათ. სამეულში მარადონა ადგილს არ იმსახურებდა?***

— მე ძველ სამყაროს ვეკუთვნი. მარადონა უდიდესი ფეხბურთელია, მაგრამ ჩემთვის უპირველესი პელე იყო, თანაც ულაპარაკოდ. რატომ? იმიტომ, რომ 20 წელიწადი მსოფლიო კლასის ფეხბურთს თამაშობდა. ის მოედანზეც ჯენტლმენი იყო და მის ფარგლებს გარეთაც.

***— თქვენი მეგობრები პაულ ბრაიტნერი და გერდ მიულერი კი ამბობენ, რომ მათთვის ბეკენბაუერი უპირველესია.***

— მათი მხრიდან ამის მოსმენა ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ საკუთარი თავის შეფასებას ვერ დავიწყებ.

***— ახსენეთ, რომ პელე ჯენტლმენი იყო. ანუ 1986 წლის „ღვთის ხელი“ თქვენს შეფასებაზე გავლენას ახდენს?***

— იმისთვის, რომ საუკეთესო იყო სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, მხოლოდ ტალანტი საკმარისი არ არის. საჭიროა, ბავშვებისთვის მისაბაძი მაგალითი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ საერთო სურათისთვის პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს. პელე არასოდეს გახვეულა სკანდალებში, არასოდეს დაუკარგავს მისთვის დამახასიათებელი შარმი და თანაც 1.000 გოლზე მეტი გაიტანა. მქონდა ბედნიერება მასთან ერთად ნიუ იორკის „კოსმოსში“ მეთამაშა, ის ფანტასტიკური იყო.

# ქართული გუნდების ისტორიული პირველი დღე

**დღეს ორი ქართული გუნდი ევროპის ლიგის პლეი-ოფში მეტად მნიშვნელოვან მატჩებს გამართავს. ეს მართლაც ისტორიული დღეა, რადგან მსგავსი შედეგისთვის აქამდე არასდროს მიგვიღწევია და, თუ ღმერთმა გაგვიმართლა, შესაძლოა, დიდი ხნის მონატრებულ ჯგუფურ ეტაპსაც გამოვკრათ ხელი. თუმცა, მეტოქეები სერიოზული არიან.**

ზესტაფონი ბელგიურ ბრიუგეს წინააღმდეგ პირველ მატჩს თბილისში ეროვნულ სტადიონზე გამართავს.

ბრიუგე, ამავე სახელწოდების ქალაქში 1891 წელს ჩამოყალიბდა. გარდა იმისა, რომ თავისი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი კლუბია, ბრიუგე ბრიუსელის ანდერლეხტთან და სტანდარდთან ერთად ბელგიური ფეხბურთის გრანდს მიეკუთვნება და ტიტულებიც უხვად აქვს.

ბრიუგელებმა ბელგიის ჩემპიონატი პირველად 1920 წელს მოიგეს, ხოლო სულ მათი საჩემპიონო მონაგარი 13-ს უტოლდება. ბოლოს ბრიუგემ ბელგიის უპირველესი გუნდის ტიტული 2005 წელს მოიპოვა. რაც შეეხება ბელგიის თასს, ის 10-ჯერ მოიგეს, ხოლო სუპერთასს 13-ჯერ ფლობდნენ. ბოლოს თასი მათ 2007 წელს აღმართეს, სუპერთასი კი — 2005-ში.

წინა სეზონში „ბრიუგემ“ ბელგიის 16-გუნდიან პირველობაზე მე-4 ადგილი დაიკავა და ევროპის ლიგაში ასპარეზობა მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო, სადაც ორი მატჩის ჯამში აზერბაიჯანული აგდამის ყარაბახი დაამარცხა. ბრიუგელებმა აგდამურ გუნდს სახლში 4:1 მოუგეს, ხოლო სტუმრად 0:1 დამარცხდნენ. სხვათა შორის, „ბრიუგესთვის“ ყოფილი უეფას და ამჟამინდელი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში უცხო არაა — ბოლო წლებში ბელგიელები ჯგუფში სტაბილურად ხვდებიან.

ბელგიის „ბრიუგეს“ ჰოლანდიელი მთავარი მწვრთნელი ადრი კოსტერი თბილისში 19 ფეხბურთელით ჩამოფრინდა.

კოსტერმა არჩევანი შემდეგ მოთამაშეებზე გააკეთა:

**მეკარეები:** ვლადან კუიოვიჩი, კოლინ კუსემანსი, სვენ დოსტი;

**მცველები:** ტომ ჰიოგლი, მიქაელ ალმებეკი, კარლ ჰუფკენსი, რაიან დონკი, ჯიმი დე იონგი, იან ვენსტიინკისტე;

**ნახევარმცველები:** ნიკი ზიმლინგი, ლიორ რაფაელოვი, ნაბილ დირარი, ჯონათან ტომას მიუნიერი, ტიბაუტ ვან აკერი, ფრის დიშლიდერი, ვადის ოჯიჯა-ოფოე;

**თავდამსხმელები:** ვიქტორ ვასკესი, ჟოზეფ აკპალა, მაქსიმ ლისტინი.

საზარდულის ტრავმის გამო, გუნდს თბილისში ვერ ჩამოყვა ფორვარდი ბიორნ ვლემინკსი.

ბელგიელები სასტუმრო რედისონში დაბინავდა. ვარჯიში კი ეროვნულ სტადიონზე 20:00 საათზე გამართა.

ბელგიელებამდე ადრე ეროვნულის საკმაოდ შელანძრულ საფარზე „ზესტაფონი“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა ავარჯიშა.

ზესტაფონელთა მდგომარეობა კი ცოტა არ იყოს მძიმეა. როგორც უკვე ვწერდით, გუნდი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ, ხოლო ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი მურთაზ დაუშვილი დუბლშემადგენლობაშია გადაყვანილი. დისკვალიფიკაციის გამო გუნდს ვერ დაეხმარება გიორგი ონიანი, ასევე ტრავმა აქვს და ვერ ითამაშებს გიორგი ხიდეშელი. ეს ფეხბურთელები ცენტრალური მცველები არიან და მათუ დანაკლისი გუნდისთვის სერიოზული პრობლემაა, ამიტომ გუნდში სასწრაფოდ მიიწვიეს ედიკ საჯაია, რომლის ხელმეორე ზესტაფონური დებიუტი დღევანდელ მატჩში შედგება.

თუმცა, იმერლები იხტიბარს არ იტეხენ და საბრძოლველად არიან განწყობილი.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“ მათი მეტოქე ბერძნული აეკია, რომელიც საბერძნეთში ასევე გამორჩეულ კლუბად ითვლება. ათენელთა აქტივში 30 ტიტულია, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ბოლო პერიოდში აეკ-ი დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის. ათენელებს გამორჩეული პერიოდი 1991-94 წლებში ჰქონდათ, როდესაც ქვეყნის ჩემპიონობა ზედიზედ სამჯერ მოიგეს, მას შემდეგ კი ოქროს მედლები არ მოუპოვებიათ.

2010 წლის 7 ოქტომბერს აეკ-ი სევილიადან აბარგებულმა ესპანელმა მანოლო ხიმენესმა ჩაიბარა. მან პოსტზე სერბი დუშან ბაევიჩი შეცვალა და ბერძნულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხიმენესის ხელში, ათენელებს საკმაოდ კარგი სეზონი ჰქონდათ. აეკ-მა ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულა, საბერძნეთის თასის ფინალში კი ატრომიტოსი 3:0 დაამარცხა.

აეკ-ის ამჟამინდელ შემადგენლობაში ყველაზე ცნობილი ბერძენი ფეხბურთელები გუნდის კაპიტანი ნიკოს ლიბეროპულოსი, ტრაიანოს დელასი და ისლანდიელი ლეგიონერე ეინარ გუდიონსენი არიან.

თბილისის დინამო ევროპის ლიგის ფლეი ოფში ათენის აეკ-თან სტუმრად გასამართი პირველი შეხვედრისთვის საბერძნეთში გუშინ ჩარტერული რეისით გაემგზავრა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ესპანელმა ალექს გარსიამ ათენში შემდეგი ფეხბურთელები წაიყვანა:

**მეკარეები:** გიორგი ლორია, გიორგი ნადირაძე;

**მცველები:** ლევან კაკუბავა, ირჟი ჰომოლა, დავით ოდიკაძე, გიორგი რეხვიაშვილი, გულვერდ თომაშვილი;

**ნახევარმცველები:** ალექსანდრე კოშკაძე, ნიკა ფირცხალავა, ჩისკო, კოტო, ალვარო, გოგა ბერაია, გიორგი თექთურმანიძე, ნიკა კვეკვესკირი;

**თავდამსხმელები:** იაგუე, გიორგი კახელიშვილი, ირაკლი ლექვთაძე.

დღევანდელ მატჩში გუნდს დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება ნახევარმცველი ჯაბა ჯიღაური, რომელმაც ევროპის ლიგის მესამე ეტაპზე ისლანდიის რეიკიავიკთან თბილისში ჩატარებულ შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო. კვლავ ტრავმირებულია ლევან ხმალაძე, ხოლო ბრაზილიელი რობერტინიო, რომელიც აქამდე დინამოს ძირითადში სტაბილურად ხვდებოდა, გარსია არც ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში ვიტ ჯორჯიასთან ათამაშა და არც საბერძნეთში იახლა. დინამო ათენში ლედრა მერიოტ ჰოტელში დაბინავდა.

**მეკარეები:** კონსტანტინოპულოსი, მოსჩონასი;

**მცველები:** კონდოესი, მანოლასი, დელასი, კალა, ჰელგასონი, კარაბელასი, გეორგეასი, ბუგადისი, ეგლეზუ, ცუკალასი;

**ნახევარმცველები:** კაფესი, გერეირო, ლეონარდო, მაკოსი, ლაგოსი, აგირიბა, კლონარიდისი, გენცოღლოუ;

**ფორვარდები:** ლეო ბელეკი, ხოსე კარლოსი, სიალმასი, გუდიონსენი, ბარნსი, ლიბეროპულოსი.

მომავალი შეხვედრა კი „სპიროს ლუის სთედიუმზე“ გაიმართება, სადაც გუშინ ორივე გუნდმა ივარჯიშა. დინამოელთა მატჩი თბილისის დროით 22.45 საათზე დაიწყება, ხოლო ზესტაფონის — 21.00. ასე რომ ორივე მატჩის ხილვის შესაძლებლობა გულშემატკივართ შეეძლებათ, მით უფრო რომ მათი ტრანსლაციები საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხით დაგეგმილია.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| არსენალი-უდინეზე | 1:0 |
| ბატე-შტურმი | 1:1 |
| ლიონი-რუბინი | 3:1 |
| ტვენტე-ბენფიკა | 2:2 |
| კოპენჰაგენი-პლზენი | 1:3 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-მიდლსბრო | 1:3 |
| დონკასტერი-ნოტინგემი | 0:1 |
| იფსვიჩი-საუთჰემპტონი | 2:5 |
| ლიდსი-ჰალი | 4:1 |
| პორთსმუთი-რედინგი | 1:0 |
| კრ.პალასი-ქოვენთრი | 2:1 |
| უოტფორდი-ვესტ ჰემი | 0:4 |

**არგენტინა. აპერტურა**

| | |
|---|---|
| სან მარტინი-ტიგრე | 2:1 |
| ლანუსი-ინდეპენდიენტე | 1:0 |
| არხენტინოსი-ოლდ ბოიზი | 1:1 |

### ჩოგბურთი

**ატპ. ცინცინატი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| იუჟნი-ლოდრა | 5:7;6:3;6:7 |
| ისნერი-შტეპანეკი | 5:7;7:5;6:7 |
| სიმონი-მელცერი | 6:7;6:3;7:5 |
| ბენეტო-გარსია ლოპესი | 6:3;6:0 |
| ბლეიკი-ფონინი | 6:4;6:2 |
| ბერდიხი-მონაკო | 7:6;6:0 |
| ანდერსონი-მალისე | 6:3;7:6 |
| ფედერერი-დელ პოტრო | 6:3;7:5 |

**ვტა. ცინცინატი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| კირილენკო-ჩჟანი | 7:6;6:3 |
| ვიკმაიერი-იოვანოვსკი | 6:3;6:4 |
| უილიამსი ს.-ჰრადეცკა | 6:3;7:6 |
| პენგი-დულკო | 6:3;4:6;6:4 |
| სტოსური-დანილიდუ | 6:3;6:1 |
| ბარტოლი-ბონდარენკო!ა. | 6:1;6:2 |
| შარაპოვა-როდიონოვა ან. | 6:1;6:3 |
| კვიტოვა-სჰეპერსი | 7:6;6:3 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

კულტურა

# დმანისის საველე სკოლაში სერთიფიკატები დარიგდება

ეკა ირემაშვილი

18 აგვისტოს დმანისის მუზეუმ-ნაკრძალში საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, ბატონი დავით ლორთქიფანიძე, დმანისის კვლევითი ჯგუფი და საველე სკოლის მონაწილეები ერთად აღნიშნავენ 2011 წლის საზაფხულო საველე სკოლის დასრულებას. ოფიციალური სერთიფიკატები გადაეცემათ ქართველ და საერთაშორისო სტუდენტებს, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს საზაფხულო პროგრამა.

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი თბილისიდან 85 კმ-ის დაშორებით სოფელ პატარა დმანისში მდებარეობს. ეს არის უნიკალური ადგილი საოცარი აღმოჩენებით, რომლებიც ცვლიან კაცობრიობის ისტორიას და ჩვენ შეხედულებას ადამიანის ევოლუციის შესახებ. ახლახან ჩატარებული კვლევების შედეგად, ირკვევა, რომ აფრიკის შემდეგ დმანისში აღმოჩენილია ყველაზე ადრეული ადამიანის არსებობის მტკიცებულება, რომელიც 1.8 მილიონი წლით თარიღდება. შუა საუკუნეების ნაქალაქართან და არქეოლოგიურ ველთან ერთად, გიდის თანხლებით, დამთვალიერებლებს შეუძლიათ ესტუმრონ შუა საუკუნეების შესანიშნავ ციხესიმაგრესა და უძველეს ნაქალაქარს. ასევე შეუძლიათ თვალი ადევნონ არქეოლოგიური გათხრების პროცესს და მნიშვნელოვან ახალ აღმოჩენებს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეოანთროპოლოგიური საველე სკოლა მესამე წელია, რაც იმართება და წელს ყველაზე დიდი სტუდენტებისა და მეცნიერებათა პედაგოგების რაოდენობით გამოირჩეოდა. ამ პროექტში 13 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას, აქედან 3 საქართველოდან, 1 პორტუგალიიდან, ხოლო დანარჩენი 9 ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ 8 სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებას.

დმანისის არქეოლოგიურ კვლევით გუნდთან ერთად, საველე სკოლის სტუდენტები ოთხი კვირის განმავლობაში მონაწილეობას იღებდნენ არქეოლოგიურ გათხრებში. დამატებით, სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ სხვადასხვა ლექციების ციკლს, რომლებსაც საქართველოს, შვეიცარიის, ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და ამერიკის პროფესორები უძღვებოდნენ.

პროგრამის ერთ-ერთი მიზანია საერთაშორისო და კოლაბორაციულ გარემოში, სტუდენტების დატრეინინგება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. სტუდენტების ჯგუფი დაეხმარა დმანისის ძირითადი გათხრების ადგილას, 200-ზე მეტი ნაპოვნი ჭურჭლის, ქვის არტიფაქტებისა და სხვა პრეისტორიული მტკიცებულებების აღდგენაში, რაც შეიძლება ამ წლის დიდ წარმატებად ჩაითვალოს.

დმანისში მუშაობასთან ერთად, საველე სკოლის სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეთვალიერებინათ სხვადასხვა ისტორიული და პრეისტორიული ადგილები — საქართველოს ანტიკური დედაქალაქი — მცხეთა და მთელ მსოფლიოში ყველაზე ძველი ბრინჯაოს ხანის დროინდელი ოქროს საბადო, რომელიც კაზრეთთან ახლოს საქართველოში მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ დმანისის საზაფხულო საველე სკოლა 2011 წლის 18 აგვისტოს მთავრდება, შემდეგი წლის საველე პროგრამა უკვე მზადების პროცესშია.

# რუსეთში მოზარდებისათვის ალკოჰოლის მიყიდვის შეზღუდვას ცდილობენ

რუსეთის ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების სამინისტროს მთავარი ნარკოლოგის, ევგენი ბრიუნის თქმით, რუსეთში 21 წელზე ახალგაზრდა პირებზე ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა უნდა აიკრძალოს. გარდა ამისა, მისი აზრით, საჭიროა ბაზრის რეგულირება, მისი შემცირება ასაკის, დროის, ადგილის მიხედვით.

როგორც ბრიუნი აღნიშნავს, არასრულწლოვანებს შორის რისკის ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. იგი ფორმირდება იმ პირებისაგან, რომლებმაც ალკოჰოლის მიღება არასრულწლოვანობიდან დაიწყეს და მათი რიცხვი ალკოჰოლიკების 10%-ს შეადგენს.

რუსეთის მთავარი ნარკოლოგის აზრით, მოზარდთა შორის ალკოჰოლიზმის



განვითარებას ხელს უწყობს ლუდისა და ალკოჰოლური სუბკულტურის დანერგვა.

ნარკოლოგმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის მოქალაქეების 30% ალკოჰოლურ სასმელებს ბოროტად იყენებს.

ბრიუნის თქმით, რუსეთში რეგისტრირებულია 1.7 მილიონი ალკოჰოლიკი, მათგან 40% ქალია. როგორც რუს ექსპერტს მიაჩნია, ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ალკოჰოლის გაყიდვა ნებადართულია, მოსახლეობის მინიმუმ 2% ალკოჰოლიკი შეიძლება გახდეს.

რუსეთის ხელისუფლები ალკოჰოლის მოხმარების წესებს მუდმივად ამკაცრებენ. მიმდინარე წლის ივლისში რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო კანონი, რომელიც ლუდსა და მის საფუძველზე დამზადებულ სასმელებს სპირტიან სასმელებს მიაკუთვნებს.

ამასთან, წამოყენებულია წინადადება 0.5%-ზე მეტი სპირტის შემცველი სასმელების ალკოჰოლურ სასმელებად მიჩნევის შესახებ.

2013 წლიდან რუსეთში ძალაში შედის კანონი ქუჩაში ჯიხურებსა და ფარდულებში, სასწავლო დაწესებულებების, სამხედრო ობიექტების მახლობლად, მასობრივი თავშეყრის ადგილებში ლუდის გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

აიკრძალება ალკოჰოლის საცალო ვაჭრობა 23 საათიდან 8 საათამდე. ამჟამად ასეთი აკრძალვა მხოლოდ მაგარი სასმელების მიმართ მოქმედებს. გარდა ამისა, ახალი ფედერალური კანონი ითვალისწინებს აგრეთვე ლუდის რეკლამის შეზღუდვას.

მოამზადა გენადი თვაურმა

სპორტი

# რეპეტიცია ლიტვის წინ — მინუსები და პლუსები

**საქართველო — ისრაელი 97:91**
**(24:25 21:17 24:23 27:25**

**საქართველო:** ცინცაძე (2), მარკოიშვილი (13), სანიკიძე (15), ვ.ბოისა (13), ფაჩულია (18), გამყრელიძე (2), შერმადინი (5), ცქიტიშვილი (10), შენგელია (10), ჰეინესი (9)

**ისრაელი:** მეკელი (10), პნინი (26), ბერნსტაინი (14), ელიაჰუ (14), გრინი (6), ონაიაჰუ (1), ნისიმი, ნაიმაი (3), ბლუ (14), კადირი (3), კოკია

საქართველოს ეროვნული ნაკრები ისრაელს აქამდე 3-ჯერ შეხვედრია და ყოველთვის დამარცხებულა. აქედან ერთხელ 4 დღის წინ ჰოლანდიაში, ამხანაგურ ტურნირზე 72:77 დამარცხდა და ამჯერად რევანში აღება მოახერხა. ეს შეხვედრები ამხანაგური, ევროჩემპიონატისთვის მოსამზადებელი იყო და შედეგს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუმცა, გამარჯვება უსიტყვოდ კარგია და ჩვენს ნაკრებს დამაჯერებლობას ჰმატებს.

ისრაელი ევროპული მასშტაბით საშუალოზე ძლიერ გუნდად ითვლება. ებრაელები ევროპის ჩემპიონატის უცვლელი წევრები არიან და ლიტვაში გასამართ კონტინენტის პირველობაზეც თავიდანვე დაიბევს ადგილი. შესარჩევ ჯგუფში იტალია ჩატოვეს და ევრობასკეტზე თავდაპირველად გასულ 16 გუნდს შორის მოხვდნენ. ამით იმის თქმა გვსურს, რომ იგორ კოკოშკოვის გუნდს მეტად ძლიერი და გამოცდილი მეტოქე ჰყავდა, რომელიც საკმაოდ გაჭირვებით, თუმცა დამსახურებულად დაამარცხა.

რომ არ ჩავთვალოთ სამქულიანები, ქართველები პირწმინდად დაჩაგრავდნენ ებრაელებს. სამწამიან ზონაში ჩვენი ფორვარდების შემჩერებლები ახლოაღმოსავლელები არ იყვნენ. აი, პერიმეტრზე კი ისრაელის დომინანტობა საგრძნობი იყო. გაი პნინმა 11-დან 7 სამქულიანი ჩაგვიგდო, მთლიანობაშ კი ებრაელებმა 23-დან 12 შორი სროლა ჩააგდეს. სწორედ ამ სამქულიანების ხარჯზე დაწინაურდა ისრაელი პირველ მეოთხედში და შემდეგ კუდიდან არ მოსშორებია ქართველებს. კოკოშკოვის გუნდი რამდენჯერაც გალიდერდა, იმდენჯერ მოახერხეს ებრაელებმა წამოწევა. ქართველების 8-9-ქულიანი ლიდერობა არაფერს ნიშნავდა, იმდენად სწრაფად აბათილებდნენ ჩამორჩენას არიკ შივეკის შეგირდები.

ბოლო წუთებამდე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, უკანასკნელ 2 წუთში კი უფრო ზუსტნი ქართველები აღმოჩდნენ. საბოლოოდ კოკოშკოვის გუნდმა 97:91 დაამარცხა ისრაელი. ამ მატჩის მთავარი შტრიხი კი ის იყო, რომ საქართველოს ნაკრებმა გუნდური სულისკვეთებით ითამაშა. გამოკვეთილი ლიდერი ჩვენებს არ ჰყოლიათ. მწვრთნელმა მოედანზე გაყვანილ ათ მოთამაშეს მისცა თავის გამოჩენისთვის საკმაო დრო. შესაბამისად, ექვსმა კალათბურთელმა უწია ათქულიან ზღვარს, რომელთაგან ყველაზე მეტი, 18 ქულა გუნდის კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ მოინაგრა.

ქართველებმა ჩინებულად ესროლეს საჯარიმოები — 20-დან 18 ჩააგდეს. საშუალო მანძილებიდან სროლებში კი 50-პროცენტიან ზღვარს გადააჭარბეს, რაც ასევე კარგი შედეგია. კოკოშკოვის გუნდს სამქულიანებისგან თავდაცვის ტაქტიკის დახვეწა ესაჭიროებათ. ისრაელის ნაკრების კალათბურთელები ფარქვეშიდანაც სიზუსტით გამოირჩეოდნენ, საშუალო დისტანციიდანაც და პერიმეტრიდანაც. აკი გითხარით, 24-დან 12 სამიანი გამოიყენეს-მეთქი. არიკ შივეკს შეკრული გუნდი ჰყავს. მისი შეგირდები ბურთს სწრაფად ათამაშებდნენ და სატყორცნ პოზიციაზე ხან ბლუ გაჰყავდათ, ხან პნინი, ხანაც ბურშტეინი. 100 ქულამდე ყოველ მატჩში ვერ ახვალ, ამიტომ აუცილებელია დაცვაში დამაჯერებელი თამაში. ამის გარეშე წარმატებაზე



ფიქრი წარმოუდგენელია. იმედია, ამ ხარვეზს ჩვენები მომავალ ამხანაგურ მატჩებში, ლატვიასა და ლიტვაში გამოასწორებენ.

ჰო, ერთიც: ცოტა საეჭვო იყო ქართველ მსაჯთა (მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი, ირაკლი ბერიშვილი) რამდენიმე ქმედება, რამაც სტუმართა მწვრთნელი რამდენჯერმე გაალიზიანა. თუმცა, ისეთი მიკერძოებულიც არ ყოფილა, რაც ჩვენებს ესტონეთში გაუკეთეს, მაგრამ მოგვეჩვენა, რომ რამდენჯერმე აშკარად ჩვენს სასარგებლოდ დასტვინეს.

**მატჩის შემდეგ:**

**გიორგი ცინცაძე:**

— მთავარია, რომ გავიმარჯვეთ. კარგად ვითამაშეთ, თუმცა, გვქონდა მინუსები, რომელთა აღმოფხვრაზე სამუშაო კიდევ გვაქვს. ისრაელი სწორ და დალაგებულ კალათბურთს თამაშობდა და მატჩიც საინტერესო სანახავი გამოდგა. შეხვედრა ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, რაც ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იყო — ევრობასკეტზე, სავარაუდოდ, არაერთი მატჩის ბედის გადაწყვეტა მოგვიწევს ბოლო წუთებზე და დღეს კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია.

**ვიქტორ სანიკიძე:**

— ჩვენთვის ისრაელთან დაპირისპირებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპზე საქართველოში ერთადერთი მატჩი ჩავატარეთ და ძალიან გვინდოდა ისრაელის ძლევით გულშემატკივარი გაგვეხარებინა. რთული თამაში იყო, თუმცა კარგად გავისარჯეთ და ჰოლანდიაში წაგების გამო ისრაელთან რევანშიც გამოგვივიდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს ორი წამყვანი კალათბურთელი აკლდა (იოთამ ჰალპერინი და ომრი კასპი), მაინც კარგად ითამაშა. ისრაელი ძლიერი გუნდია. ასეთ ნაკრებს რომ ვაჯობეთ, გამოდის, არც ჩვენ გვყავს ურიგო გუნდი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# სოფო ხალვაში სოლოკონცერტს ბათუმში გამართავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თქვან და მსმენელს ერთი ლამაზი საღამო აჩუქონ. ანა ქასრაშვილი იყო პირველი კომპოზიტორი, რომელმაც სოფო ხალვაშს სიმღერა დაუწერა. ანა ქასრაშვილი ბერკლის მუსიკალური სკოლისა და სოფო ხალვაშის ფავორიტი კომპოზიტორია. მისი ისტორიაც ბათუმიდან იწყება, ამიტომ ბავშვობის მეგობრები გაერთიანდნენ და ერთიანი ძალებით აპირებენ პირველი სოლოკონცერტის ჩატარებას.

კვირას დაგეგმილ კონცერტზე სხვადასხვა მუსიკალური მიმდინარეობების კომპოზიციები შესრულდება. სოფო ხალვაშის სოლოკონცერტზე მისული მსმენელი მოისმენს ბლუზის, არენდბის, ბალადების სტილის სიმღერებს. მუსიკალურად მომღერლის კონცერტს, რა თქმა უნდა, ცოცხალი ბენდი გააფორმებს. რა თქმა უნდა, თავად მომღერალი საქსაფონზე დაუკრავს და მსმენელს სიმღერების შესრულების პარალელურად, საქსაფონზე დაკვრით თავისი ოსტატობითაც აღაფრთოვანებს.

სოფო ხალვაშის პირველი სოლოკონცერტი მთლიანად უცხოურ სიმღერებს დაეთმობა. საკონცერტო პროგრამაში მხოლოდ ერთი ქართული სიმღერაა, რომელსაც მომღერალი პირველად 21 აგვისტოს შეასრულებს და იგი, რა თქმა უნდა, მის მშობლიურ ქალაქ ბათუმს მიეძღვნება.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 2. ახალ ზელანდიაში გავრცელებული ფრინველი, რომელიც ვერ დაფრინავს; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 5. ახლად გამოჩეკილი თევზი; 8. წვრილად დაჭრილი თამბაქოს გამხმარი ფოთლები; 9. უბანი ქუთაისში; 12. დიდი ებრაული რელიგიური დღესასწაული; 14. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული; 16. მწერის განვითარების ბოლო სტადია.

**თარაზულად:** 1. გერმანული ლუდი; 6. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 7. ქონება, რომელსაც ქალს ატანდნენ მშობლები გათხოვებისას; 9. პენალტი ჰოკეიში; 10. ლუდის გამონახარში, ალაოს ლექი; 11. ქართული სანადიმო სიმღერა; 13. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. ლექციის, მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 17. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 18. მომღერალთა გუნდი; 19. გერმანელი მწერალი, დრამატურგი; 20. სეირნობა, სიარული ჯანმრთელობის განსამტკიცებლად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პატენტი; 2. ბროლი; 3. „მოტოროლა“; 4. ბულბული; 5. კორნიშონი; 9. „მითანა“; 12. გალუაზი; 14. ნუნცია; 15. „გომი“; 17. ფშავი; 18. ალტი.

**თარაზულად:** 6. ქაშერი; 7. „კონსუელო“; 8. ვექილი; 10. ზუთხი; 11. ციცინათელა; 13. ანტიგონე; 16. ტარაფი; 19. ლოკატორი; 20. მაგელანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჩოდარი; 2. აკრი; 3. პარადოქსი; 4. ცაიში; 5. „ცისკარი“; 8. ჭანები; 9. ხაბიზგინა; 12. ტენორი; 14. ბარონი; 16. „აპოლო“.

**თარაზულად:** 1. ჩოხატაური; 6. რამაზანი; 7. დუხჭირი; 9. ხურალი; 10. ლირა; 11. „ვედრება“; 13. დუბაი; 15. ტეკილა; 17. ჭინჭარი; 18. „პოპოლო“; 19. გრანდი; 20. რომანსი.

# დიტერ ბოდენი: მთავარი საქმე თავად საქართველომ უნდა გააკეთოს!

**ინტერვიუ დიტერ ბოდენთან**



*— უკვე ათეული წელია, აკვირდებით საქართველოში და მის კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკურ და სხვა სახის მოვლენებს. თქვენი აზრით, არის თუ არა პროგრესი ან რეგრესი კონფლიქტების გადაწყვეტის კუთხით? გაერო-ს და ეუთო-ს მისიებში თქვენი მუშაობის პერიოდიდან მოყოლებული, არის თუ არა დღეს რომელიმე მხარე მზად, რათა ნდობის აღდგენაზე, კონფლიქტების მოგვარებაზე იზრუნოს?*

— უნდა ითქვას, რომ დიდი წყვეტა იყო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. მაშინ კონფლიქტებთან დაკავშირებული პროცესი საერთოდ დაინგრა და ამის შემდეგ ჩვენ ყველაფრის დაწყება მოგვიწია თავიდან. ეს არ არის უბრალო საქმე, რადგან რეალიები შეიცვალა, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა გამოაცხადეს თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ასე რომ, არც ისე ადვილია თავიდან დაიწყო ეს პროცესი. მე ვფიქრობ, რომ ეს მოითხოვს დიდ დროს და, როგორც ვხედავ, ეს იქნება ძალიან ნელი და რთული პროცესი. ნელი, რადგან, თავიდან უნდა ააგო ურთიერთნდობა, ხელახლა უნდა ეძებო ურთიერთობის გზები.

*— ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ დროის მომენტია?*

— დიახ, ომის შემდეგ ყველასთვის რთულია, საერთოდ, დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას, ვინც მონაწილეობდა ერთ ან მეორე მხარეს, ვინც დაზარალდა. მიმაჩნია, რომ საქართველო ძალიან რთული პრობლემების წინაშეა. მეორე მხრივ, მსოფლიოში ამჟამად იმდენი კრიზისული რეგიონია, რომ კავკასია პირველხარისხოვანი აღარ არის. ისიც ძალიან დიდი პრობლემა იქნება, რომ მიიქციო მსოფლიოს ყურადღება.

*— თქვენ გასულ წელს იყავით ჩასული აფხაზეთში, სადაც შეხვდით ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, როგორია განწყობა სოხუმში?*

— აფხაზეთში გავემგზავრე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიწვევით. აბსოლუტურად არაოფიციალურად. ძალიან მინდოდა მენახა, როგორი ვითარება იყო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ. მგონია, რომ ამ ომისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ, იქ ამბობენ, რომ კონფლიქტი უკვე აღარც არსებობს. ისინი ფიქრობენ, რომ უსაფრთხოება უზრუნველყოფილია რუსეთის მიერ, ეს თემა, ფაქტობრივად დახურულია. მაგრამ მე მგონია, რომ ეს ნაადრევია, რადგან რეგიონში პრობლემა რჩება, ისევე, როგორც - მტრული დამოკიდებულება აფხაზეთსა და საქართველოს შორის. ვიცით ისიც, რომ ეს არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ასე რომ, ეს მოითხოვს საუბარს, მოლაპარაკებებს.

*— თუ იგრძნობოდა ამის სურვილი აფხაზების მხრიდან, როცა იქ იყავით?*

— დიახ.

*— ხომ არ ფიქრობთ, რომ მიუხედავად ოთხი ქვეყნის აღიარებისა, აფხაზეთი მაინც იზოლირებულია დანარჩენი მსოფლიოსგან, თუ გავითვალისწინებთ თუნდაც იმას, რომ მათ აქვთ უცხოეთში გადაადგილების პრობლემა. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა იქ მცხოვრები ადამიანებისთვის რამე?*

— გამოდის, რომ ისინი მართლაც არიან იზოლაციაში და ეს ჩვენ არავის არ მოგვწონს. მიმაჩნია, რომ მათ უნდა ჰქონდეთ დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობის შესაძლებლობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის ევროპის ნაწილი და თუნდაც ამიტომ უნდა მივუბრუნდეთ საბოლოო სტაბილურობის მიღწევის საკითხს მთლიანად რეგიონში.

*— დღემდე ძალიან ბევრს საუბრობენ თქვენს გეგმაზე, რომელიც „ბოდენის დოკუმენტის" სახელით არის ცნობილი და 2001 წელს შეიქმნა, თუმცა რეალობაში ასახვა ვერ ჰპოვა. ამ გეგმას ქართულ ექსპერტულ წრეებში დღემდე „აფხაზეთის გადარჩენის" გეგმასაც უწოდებენ. გქონდათ თუ არა ამ დოკუმენტზე საუბარი აფხაზებთან გასულ წელლს, იქ ყოფნისას და რატომ გახდა ის მიუღებელი მათთვის, ნებისმიერი სხვა მხარისთვის?*

— ეს გეგმა შეიქმნა 10 წლის წინ, როცა აბსოლუტურად სხვა პოლიტიკური გარემოებები იყო, როგორც ვიცით. მაშინ ჩვენ არ ვიყავით იმ მდგომარეობში, რომ ის განგვეხორციელებინა. თავიდან საქართველოში იყო ძლიერი ოპოზიცია, შემდეგ კონფლიქტურ რეგიონში სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ არავის უნდოდა ისეთი პრობლემების გარჩევა, როგორიც სტატუსის საკითხია და სხვა. მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ ეს იყო ხელიდან გაშვებული შანსი. ამ გეგმის საფუძველზე შეიძლებოდა კონფლიქტის სოლიდურად მოგვარება, თუ იქნებოდა ყველა მხრიდან შესაბამისი კეთილი ნება. იმედი ვიქონიოთ, რომ სამომავლოდ მაინც მოხდება სიტუაციის ნორმალიზება ამ დონეზე.

*— ქართულ საზოგადოებაში ერთგვარი იმედგაცრუება იგრძნობა საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის მისამართით, იმის გამო, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში მხოლოდ სიმბოლური განცხადებებით შემოიფარგლებიან, რომელიც ფურცელზე რჩება, ზოგჯერ საერთოდ ეს მომენტიც გამოირიცხება. თქვენ მუშაობდით ორი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლად საქართველოში, როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ დაიძრა საქართველოში არსებული კონფლიქტების საკითხი? რატომ არ არის ნაყოფიერი სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობა ნაყოფიერი, ეს არის ხელისუფლებების კეთილი ნების არ არსებობის მიზეზი, თუ სხვა რამის?*

— თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ არასწორი გაგება არსებობს კონფლიქტების მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობასთან დააკავშირებით. მათ შეუძლიათ მხოლოდ ზეგავლენა იქონიონ კონფლიქტების მოგვარებაში, მთავარი საქმე უნდა გააკეთოს თავად საქართველომ. საერთაშორისო ორგანიზაციებს კი, ის შეუძლიათ, რომ მხარი დაუჭირონ ასეთ პროცესებს. უმადურობა იქნება მათი დადანაშაულება უსაქმურობაში. ბევრი რამ გაკეთდა წარსულში, შევხედოთ რას აკეთებს ევროკავშირი. 2008 წლის ომის შემდგომ, სამწუხაროდ, ორ ორგანიზაციას, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოში (გაერო-ს და ეუთო-ს მისიას ვგულისხმობ), მანდატი შეუწყდა. მგონია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების გარეშე არაფერი არ გამოვა, მაგრამ მათ ყოველთვის უნდა მისცენ მთავარი როლი საქართველოს.

*— თქვენ როგორ ხედავთ რუსეთის როლს ამ საკითხების გადაწყვეტაში, დღევანდელი გადასახედიდან?*

— სამწუხაროდ, არ არსებობს ოფიციალური ურთიერთობები საქართველო-რუსეთს შორის და მიმაჩნია, რომ ეს შეცდომაა, რადგან არავისთვის სარგებელი არ მოაქვს. კავკასიის რეგიონში კონფლიქტების რუსეთის გარეშე მოგვარება ძალიან რთულია. ასე რომ, იმედს ვიტოვებ, ახლო მომავალში აღდგება ეს ურთიერთობები, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი სერიოზული საკითხი, რომლებზეც არსებობს უთანხმოება რუსეთთან.

*— ნეიტრალური პასპორტების გაცემა კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, შეცვლის თუ არა რაიმეს ეს დოკუმენტი?*

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, აფხაზებს მიეცეთ საშუალება, გაემგზავრონ დასავლეთ ევროპაში. გასულ წელს, როცა აფხაზეთში ვიყავი, ვგრძნობდი, რომ მათ აქვთ სურვილი, ხშირად ჩავიდნენ ევროპაში. ვფიქრობ, ყველას ინტერესებშია მათ ამის საშუალება მიეცეს. მე არ მინახავს ეს დოკუმენტი. დაველოდოთ და ვნახოთ.

*— დოკუმენტი, რომელიც ქართულმა მხარემ შეიმუშავა - „სახელმწიფო სტრატეგია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში - ჩართულობა თანამშრომლობის გზით" - რატომ გახდა კრიტიკის საგანი ან მიუღებელი აფხაზური და ნაწილობრივ ქართული საზოგადოების მხრიდან?*

— მე არ მინდა, ვიმსჯელო ამ დოკუმენტზე, რომელიც შეიქმნა საქართველოში. ჩემთვის უფრო საინტერესო არის ის, თუ იმუშავებს ეს დოკუმენტი პრაქტიკაში. იმედი მაქვს, რომ მისი პრაქტიკული განხორციელების გზები გამოინახება. საერთოდ, ეს არ არის ცუდი დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია გამოცდილება, მაგრამ მე მინდა, რაც შეიძლება მალე ვნახო მისი შედეგები, ეს ჩემთვის მთავარი კრიტერიუმია, რათა ამ საკითხზე ვიმსჯელო. წარსულში ჩვენ გამოვიარეთ ისეთი სიტუაციები, როცა იყო ლამაზი სიტყვები, თუმცა პრაქტიკაში იყო წარუმატებლობა. იმედი მინდა დავიტოვო, რომ ამ შემთხვევაში სასიამოვნო სიურპრიზი გველოდება.

**ინტერპრესნიუსი**

# იუშჩენკომ სასამართლოს პუტინისა და მილერის დაკითხვა შესთავაზა

უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ სასამართლოს რუსეთის პრემიერ-მინისტრის, ვლადიმირ პუტინისა და სახელმწიფო კონცერნის, გაზის მონოპოლისტის, „გაზპრომის" ხელმძღვანელ ალექსეი მილერის დაკითხვის შესაძლებლობის განხილვა შესთავაზა.

ოთხშაბათს პეჩორის რაიონულ სასამართლოში დაკითხვის დროს იუშჩენკომ განაცხადა, რომ ამ ადამიანების დაკითხვა შეთანხმების ყველა გარემოების დადგენის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

დაცვის ადვოკატების შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს იუშჩენკომ რუსეთსა და უკრაინას შორის 2009 წლის „გაზის კრიზისის" მისეული ხედვა წარმოადგინა.

კერძოდ, მან განაცხადა, რმ 2009 წლის იანვარში მოსკოვიდან დაბრუნებულმა იულია ტიმოშენკომ ვერ შეძლო გაზის ზუსტი ფასის დასახელება და მხოლოდ ის თქვა, რომ ფასი „კარგი" იყო.

იუშჩენკოს თქმით, 2009 წელს ხელმოწერილ რუსეთ-უკრაინის გაზის კონტრაქტებში პოლიტიკური მოტივები არსებობდა, ამიტომ ეს დოკუმენტები არ გამოუქვეყნებიათ.

„მე სამჯერ ვკითხე იულია ვლადიმირის ასულს, ფასი როგორია? პასუხად ერთი და იგივე მივიღე, „ვიქტორ ანდრეის ძევ, ფასი კარგი იქნება", — განაცხადა იუშჩენკომ.



იუშჩენკომ განაცხადა, რომ მისი თხოვნის პასუხად, ეჩვენებინა კონტრაქტის პროექტი, იულია ტიმოშენკო მას დაჰპირდა, რომ მოგვიანებით გადასცემდა კონტრაქტს.

იუშჩენკოს თქმით, რუსეთში უკრაინაში პრორუსული ლიდერი სჭირდებოდა და ეროვნული ინტერესების პოლიტიკური მიზანშეწონილობით ჩანაცვლება მოხდა.

იუშჩენკომ განაცხადა, რომ იგი დარწმუნებულია რუსეთისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრების „გაზის" მოლაპარაკების პოლიტიკურ ხასიათში და ამას დადებული კონტრაქტების შინაარსის დიდი ხნის განმავლობაში დაფარვა მოწმობდა.



იუშჩენკო დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური მოტივირების გარეშე 2009 წლის გაზის კონტრაქტების შინაარსს მთავრობა და კომპანია „ნაფტოგაზ უკრაინის" ხელმძღვანელობა მაშინვე გამოაქვეყნებდა.

მიმომხილველების თქმით, კიევში მიმდინარე პროცესზე ვიქტორ იუშჩენკოს გამოჩენა ხელსაყრელი შეიძლება გამოდგეს როგორც სახელმწიფო ბრალმდებლების, ასევე იულია ტიმოშენკოსათვის. ამ უკანასკნელს შესაძლებლობა მიეცემა განმარტოს, თუ რატომ გახდა იგი იძულებული, დათანხმებულიყო მიღებულ შეთანხმებასა და გაზის ფასს.

კიევის პეჩორის რაიონულმა სასამართლომ იულია ტიმოშენკოს საქმის განხილვა ივნისის ბოლოს დაიწყო. გენპროკურატურა ტიმოშენკოს რუსეთთან გაზის კონტრაქტის დადების დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებებს უყენებს.

სასამართლომ ტიმოშენკოს დაკავების გადაწყვეტილება 5 აგვისტოს მიიღო.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 18 აგვისტო**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **08.30** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **09.00** სათავგად. ფილმი **"მოჩვენება ფანგასი"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერიალი **"კრიმინალური სეზონი"** **17.00** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **18.00** მედ-ინფო **18.30** ჩვენი ფერმა **19.05** დოკ. ფილმი "ჩავარდნა: მორიგი დიდი დეპრესია" **19.40** პეპეს ზღაპრები **20.25** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. პლეიოფი. ზესტაფონი — ბელგიის "ბრიუგე" **22.25** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. პლეიოფი. "აეკი" (საბერძნეთი) — "დინამო" (თბილისი) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"ქალების მაამებელი"** (18) **02.30** მოამბე **02.50** მხ. ფილმი **"პარანოია"** (12) **04.50** მხ. ფილმი **"ხმაურიანი გაქცევა"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "მილიონერები" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "მილიონერები" **20.00** მხ. ფილმი **"გამცილებლები და დამხვდომები"** **01.00** მხ. ფილმი **"დიკი რობერტსი: ვარსკვლავბიჭუნა"**

**08.00** კურიერი **08.20** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სერ. **"მაშველები"** **13.30** ქართ. ფილმი **"ლონდრე"** **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** პროფილი (გან.) **23.00** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **00.30** ექსტრემალური შეჯიბრებები **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **09.15** სერიალი **"გმირები – 2"** **10.00** სერიალი **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** **12.50** სერიალი **"ფული და სექსი"** **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ბოიარის ციხესიმაგრე **15.00** წუთისოფელში **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერიალი **"შუა ქალაქში"** **23.00** მუს. ლიგა (გან.) **00.30** რემონტი **01.00** მხ. ფილმი **"ჩვეავად ქცეული ქორწინება"** (კ. ბესინგერი) (სუბტ.) **03.25** მხ. ფილმი **"პერფექტი კაკალი 2"** (12) (ბ. უილისი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00, 13.00, 19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"ფანტაზიების კუნძული"** **14.30** სერიალი **"ტყუპები"** **15.30** პულსი **16.00** ფარული კამერა **16.20** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"ელიზა დი რივერმბროზა"** **21.00** სერიალი **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** "მზის სახლი" — საუკეთესო მომენტები **23.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **12.50, 19.35** სერიალი **"მეგობრები"** **15.00** სერიალი **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება
**08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** მე-3ს. **13.30** კონცერტი – ანდრია ბოჩელი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ლომა, დავიწყებული მეგობარი"** **16.55** ირაო — "ოქროს საწმისელები" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ჭიდაობას რა უნდა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** გამოყენებითი ხელოვნება **22.20** დოკ. ფილმი "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმის გაგრძ. **00.30** განთიადის კოლაჟი **01.25** კონცერტი – ანდრის რიე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 აგვისტო**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,655 | ევრო — 2,3691 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7259 | რუსული რუბლი — 0,0582 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 26-32, ღამით — 14-18

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-27, ღამით — 16-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა წვიმა, დღისით — 25-26, ღამით — 11-15

## ამინდის პროგნოზი 18 აგვისტოსთვის





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი **ფასი: 69 თეთრი**

# გუმბათი

დიმა ტატიშვილი:
„სიკვდილს გარდაცვლილმა მშობლებმა გადამარჩინეს“

ირმა სოხაძე:
„იაპონიაში ჩაძირვას გადავურჩით“

თემურ რცხილაძე:
„ჩემი ძმის გამოჯანმრთელება სასწაულია ყველაფერს გააკეთებს“





# ეროვნული ნაკრები საპატრიარქოში ილია მეორემ დალოცა

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეროვნული გუნდი დალოცა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს ნაკრები საპატრიარქოში მიიღო, მის ხელმძღვანელებსა და წევრებს გაესაუბრა, რის შემდეგაც გუნდის თითოეული წევრი დალოცა და ევროპის ჩემპიონატზე წარმატება უსურვა.**



უწმინდესი დაინტერესდა, თუ რომელი გუნდები იქნებიან ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების მეტოქეები, რის შემდეგაც კალათბურთელებს უთხრა, მოიგებთ თუ წააგებთ, ღმერთს მადლობა შესწირეთ, თქვენი ქვეყნის სახელს ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე რომ დაიცავთო.

პატრიარქმა ნაკრების წევრები სანთლებითა და რელიგიური ლიტერატურით დაასაჩუქრა.

**მ. ჟ.**

## ტესტი

# ხართ თუ არა პატივმოყვარე



1. გსურთ იყოთ მდიდარი და პოპულარული?
2. იქნებით ოდესმე მდიდარი და პოპულარული?
3. გსურთ გქონდეთ ძვირფასი და დიდი ავტომობილი?
4. იცით ზუსტად, რა მარკის ავტომობილი გსურთ?
5. გსურთ ქალაქგარეთ დიდ სახლში ცხოვრება?
6. გსურთ, რომ მსახურები გყავდეთ?
7. თამაშის დროს გსურთ მოიგოთ?
8. ისესხებდით ფულს რაიმე საქმის წამოსაწყებად?
9. წახვიდოდით საზღვარგარეთ, კარგი პერსპექტივები რომ გქონდეთ?
10. გსურთ საკუთარი საქმის წამოწყება?
11. შეგიძლიათ ჩაიდინოთ უპატიოსნო საქციელი, თუ გეცოდინებათ, რომ ვერავინ გაიგებს?
12. მიგაჩნიათ, რომ მდიდარი და ცნობილი ადამიანები სხვებზე საინტერესონი არიან?
13. შეურიგდებოდით გაჭირვებასა და პრობლემებს, თუ იცით, რომ მათი გადატანა აუცილებელია გამდიდრებისათვის?
14. გინდათ, რომ ქუჩაში გცნობდნენ?
15. როგორ გგონიათ, განსხვავდებით სხვა ადამიანებისაგან?

## პასუხები

**11-15 ქულა:** დიდი ამბიციები და სურვილები გაქვთ. თუ საქმეს გულმოდგინედ მოჰკიდებთ ხელს და ბედიც გაგიღიმებთ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

**6-10 ქულა:** ამბიციური კი ხართ, მაგრამ — ძალიან ფრთხილი და კეთილგონიერი. მიუხედავად ამისა, თუ მართლა გსურთ წარმატების მიღწევა, დაივიწყეთ სიფრთხილე და დროდადრო ზურგი აქციეთ კეთილგონიერ არგუმენტებს.

**0-5 ქულა:** უმნიშვნელო ამბიციები გაქვთ, კმაყოფილი ხართ საკუთარი ცხოვრებით და გსურთ სიამოვნების მიღება ბრძოლის გარეშე.

**გ. თ.**

# სოფო ხალვაში სოლოკონცერტს ბათუმში გამართავს

ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერალი სოფო ხალვაში თავის პირველ სოლოკონცერტს მშობლიურ ქალაქ ბათუმში გამართავს. ხანგრძლივი მზადების შემდეგ, მომღერალმა მიიღო გადაწყვეტილება, თავის ერთგულ მსმენელს სწორედ მშობლიურ ქალაქში სოლოკონცერტით თავის ერთგულ მსმენელს ანგარიში უნდა ჩააბაროს. ბათუმში დაგეგმილ საღამომდე სოფომ ოცნება აისრულა და „იურმალაში“ გამართულ სიმღერის საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა, სადაც მართალია გამარჯვება ვერ მოიპოვა, მაგრამ საუკეთესო სამეულში დასახელდა. „იურმალაში“ ვი-



kfirbi t[dl tc] f podbc,d- f]kj dic sfdbp d dhtkb doqht b evqthj c8
@fudbhj c ,fsevib ç,aj []fkdi b]f vbpb ,fd- i[gl bc vtu ,fhb7 f]fkú'fp- h'f ,rj vgupbnj hp fyf rfc- hfi dkb vozyksfy i tc[- dl hfl tvqfl t ,by8 j hod l[tkj dyb,sdbc ,fsevbv]] , - kbehbmkfmf7fvbnj vvfsb qbndkbq kj ufy dkfwfv mkfmbl.fbtuvf8
ç,aj []fkdi b ,j dk- sdbc dfy dt,bs bdyt,c7 hj v gbndkf]' cwvfd ,f- sev,bufy db f8vi bc ç,a cdwbkehvedbfken]ua- i byqthj ] f7hj vtkbw$u- u yc /mj f itmwdkb ] f vssdbc dbqht,c fy mc- hfi dkb qht f8
vj vdhfkcvbfxbf7hj v erdl l fl u l hj 7hj w vfy

ზიტი სოფოსთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სწორედ იქ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, რევაზ ძოძუაშვილის შვილი მიშიკო ძოძუაშვილი, რომელთანაც ოჯახი შექმნა და ახლა ულამაზესი ქეთევანის დედიკოა. ამის შემდეგ კი მომღერალს კიდევ უფრო ერთი დიდი გამოცდა ელოდა — ევროვიზია, სადაც სოფომ საქართველო წარადგინა. ამის შემდეგ, მომღერალმა მიწვევა მიიღო მუსიკისა და დრამის თეატრიდან, სადაც რეჟისორ დავით დოიაშვილის სპექტაკლებში ითამაშა.

სოფო ხალვაშისა და ანა ქასრაშვილის მეგობრობა და საქმიანი თანამშრომლობა უკვე წლებია გრძელდება, ამიტომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება, დაგროვილი სათქმელი ერთად


**გაგრძელება მე-10 გვერდზე**


## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 18 აგვისტოსთვის

წარმატებული დღეა **ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — დღეს კარგ ამბებს გაიგებთ, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** — რაც მოხდება, საკუთარ თავს დააბრალეთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იმოქმედეთ. **სასწორი** — სიტუაცია აწონ-დაწონეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — ძვირფას საჩუქარს მიიღებთ, ამ დღეს დიდი ხანია ელოდით. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, მაინც ყველაფერს მოასწრებთ. **თხის რქა** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მერწყული** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **თევზები** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე ნაკლებ შეცდომას დაუშვებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სიცილიის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. თავის ქალის ზედა ნაწილი; 3. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 4. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა; 5. შუშხუნა ღვინო; 9. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 12. ლეო დელიბის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 15. ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი, დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი; 17. მდინარე დელიში; 18. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 7. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის კურსის დადგენა ბირჟაზე; 8. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 10. ფეხბურთელთა გუნდი გერმანიაში; 11. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 13. მსოფლიოში მოპოვებული ყველაზე დიდი თვითნაბადი ალმასი; 16. პატარა ერთბინიანი მანსარდიანი სახლი; 19. მოხეტიალე მუსიკოსი ძველად გერმანიაში; 20. ბუნებრივი წყალვარდნილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## იუმორი



— მამაკაცი ქალს ტოვებს მაშინ, როდესაც მის ნაკლოვანებებს ამჩნევს, ქალი კი მამაკაცის ნაკლოვანებებს მაშინ ამჩნევს, როდესაც მამაკაცი მას ტოვებს...

* * *

— ნიკა, სულ არ გიყვარვარ, აი, ჩვენი ძაღლი უფრო მეტად გიყვარს, ვიდრე მე.

— დამშვიდდი, საყვარელო, ორივე თანაბრად მიყვარხართ...

* * *

— კრედიტის აღება ყინვაში შარვლის ჩასველებას ჰგავს — თავიდან თბილა, მაგრამ შემდეგ, ყინვა რომ მოუჭერს...

* * *

ცოლ-ქმარი სამზარეულოში ზის და საუბრობს:

— იცი, ჩვენი მეზობელი ჭკვიანი კაცი გამოდგა.

— საიდან დაასკვენი?

— ჩვენს შვილს დაბადების დღეზე დოლი რომ აჩუქეს, მხოლოდ მან ჰკითხა: თუ იცი, შიგნით რა აქვსო?

* * *

— ხვალიდან სიგარეტს თავს ვანებებ, ორშაბათიდან დილაობით სირბილს ვიწყებ, ერთი კვირის შემდეგ კი ტრენაჟორებზე ჩავეწერები. ძილის წინ შენ რაღაზე ფიქრობ ხოლმე?

**გ. თ.**